საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 126 (405) პარასკევი, 10 ივლისი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ბანდიტური თავდასხმა

გუშინ, 9 ივლისს, 14 საათსა და 30 წუთზე, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების საზღვარზე — სოფელ ჯგალის კანთის დასახლებაში ბანდიტები თავს დაესხნენ გაზ-31 მარკის ავტომანქანას, რომელშიც ისხდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი სანდრო კავსაძე, ჩხოროწყუს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე კანდიდ გოგუა და ჩხოროწყუს რაიონის მთავარი ექიმი ალექსანდრე მიქაია.

ბანდიტებმა კანდიდ გოგუა ადგილზე მოკლეს, სანდრო კავსაძე, ალექსანდრე მიქაია და მძღოლი კი მძევლებად წაიყვანეს ლუგელას მთის მიმართულებით.

მხედრიონის, შინაგანი ჯარისა და მილიციის ნაწილები ყველაფერს ღონობენ ამ ვანდალური აქტის ჩამდენ ბანდიტთა დასაკავებლად და მძევალთა გასათავისუფლებლად.

მოკლეს თვითგასამართლებით

8 ივლისის დილის 8 საათიდან 9 ივლისის დილამდე დასავლეთ საქართველოში ვითარება შედარებით სტაბილური იყო.

ცხინვალის რეგიონში იყო პერიოდული სროლა.

რესპუბლიკაში კვლავ მოეწყო თვითგასამართლების შემაშფოთებელი აქტი. 8 ივლისს ადიგენის შინაგან საქმეთა განყოფილებას განცხადებით მიმართა სოფელ უდეში მცხოვრებმა ალექსი თათოშვილმა იმის თაობაზე, რომ 30 ივნისს მისი შვილი, ადიგენის რაიკავშირის პურის საცხობის გამგე ლავრენტი თათოშვილი საკუთარი ავტომანქანით სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. 8 ივლისს ახალციხის რაიონის სოფელ ბუგარეთთან იპოვეს მოკლული ლ. თათოშვილის გვამი, რომელსაც თავის არეში ჰქონდა ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანება. პოლიციამ დააკავა ადიგენის რაიონის სოფელ ფხეროში მცხოვრები შალვა აბუთიძე. 8 ივლისს 18 საათზე ადიგენის შინაგან საქმეთა განყოფილებასთან მივიდა ადგილობრივი მცხოვრებლების 1500-კაციანი ჯგუფი, რომლებმაც ძალის გამოყენებით წაიყვანეს მკვლელობისათვის დაკავებული აბუთიძე, მათვე მძევლებად წაიყვანეს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი და რაიონის პროკურორი. გამტაცებლებმა წამებით მოკლეს აბუთიძე, რის შემდეგაც გაათავისუფლეს მძევლად წაყვანილი შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი და რაიონის პროკურორი.

ეწვივნენ გვარდიის ნაწილებს

სამაჩაბლოში დისლოცირებული გვარდიის ნაწილებს, კონფლიქტის ზონის სოფლებს დასახმარებლად ეწვია საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის ჰუმანიტარული დახმარების მორიგი ბრიგადა.

— ეს ჩვენი რიგით მესამე გამგზავრება იყო კონფლიქტის ზონაში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ფონდის თავმჯდომარემ თეიმურაზ თოფურიამ. — ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფლებში დაბანაკებული გვარდიელებისათვის მეღვრეკისის შტაბში ჩავიტანეთ საკვები პროდუქტები, სარეცხი და დასაბანი საშუალებები, პირადი ჰიგიენის ნივთები, ინდივიდუალური შესახვევი მასალები, პაკეტები, მედიკამენტები.

ამ დღეებში

გვამცნობენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

9 ივლისს დილით ჰელსინკიში ოფიციალურად გაიხსნა სახელმწიფოთა და მთავრობათა ხელმძღვანელების შეხვედრა უმაღლეს დონეზე. მოისმინეს თოთხმეტი სახელმწიფოსა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართვები

საქართველო კისრულობს ვალდებულებას იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ თანხმობის საფუძველზე

ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის 1975 წლის საბოლოო აქტის ხელმოწერის დროს სასახლე „ფინლანდიაში" 1992 წლის 9 ივლისს

ქალბატონებო და ბატონებო,

საქართველო დიდხანს ელოდა ამ დღეს. მისთვის იგი ბევრ რამეს ნიშნავს. უწინარეს ყოვლისა — ევროპის სულიერი ერთიანობის სამყაროში დაბრუნებას, რომელსაც იგი ისტორიულმა ბედუკუღმართობამ მოსწყვიტა.

იგი ნიშნავს აგრეთვე საქართველოს შესვლას დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოთა ოჯახში, რომლებიც თავიანთ ცხოვრებას უფარდებენ საბოლოო აქტისა და ახალი ევროპისათვის ქარტიის უზენაეს პრინციპებს.

უერთდება რა მათ, საქართველო საჯაროდ ადასტურებს, რომ განუხრელად დაიცავს ჰელსინკის პროცესის ყველა ნორმას.

იგი აპირებს აგრეთვე თავისი წვლილი შეიტანოს მისი მთლიანობის შენარჩუნებასა და მის შემდგომ განვითარებაში.

ევროპამ ახლანდელ მიჯნას იმით მიაღწია, რომ საფუძველთა საფუძვლად გაიხადა სახელმწიფოთა თანხმობა. მის მიღწევას ახერხებდნენ „ცივი ომის" და ევროპის გათიშვის ხანაშიც, როცა კონფრონტაცია და სამხედრო დაპირისპირება ზოგჯერ კრიზისულად საშიშ ხასიათს იძენდა.

საბოლოო აქტი თანხმობის ინსტრუმენტია, რომელსაც საფუძვლად უძევს თითოეულის ინტერესების გათვალისწინება და ყველას ინტერესების შეთავსების მისწრაფება.

საქართველო ხელს აწერს მას და ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ საერთო-ევროპული პროცესი არა მარტო მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა და ურთიერთვალდებულებების ჯამია, არამედ, უწინარესად საქმეთა წარმართვის მეთოდია — როგორც სახელმწიფოთა შიგნით, ისე მათ შორისაც.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირში საქართველოს შემოაქვს უკვე შეძენილი გამოცდილება, რომელიც მოწმობს საბოლოო აქტის პრინციპების პატივისცემას — ეს არის უარის თქმა ძალის პოლიტიკაზე პოლიტიკის ძალის სასარგებლოდ, ცალმხრივ მოქმედებაზე — დიალოგის, მოლაპარაკებისა და კომპრომისის სასარგებლოდ.

პოლიტიკის ადამიანურ განზომილებას — ამ „ევროპის ოქროს კვეთს" — ჩვენ მემკვიდრეობად ვიღებთ პირადი რწმენისა და გამოცდილების გამოც და ჩვენი ხალხის ჰუმანისტური ტრადიციების კარნახითაც. რაგინდ პატარაც უნდა იყოს ესა თუ ის ქვეყანა — საქართველო კი პატარა ქვეყანაა — იგი მოვალეა დაიმკვიდროს თავი მსოფლიოში ადამიანის სიცოცხლის ღირებულების, პიროვნების თავისუფლების, უმცირესობათა უფლებების დაცვის პრიორიტეტების მეშვეობით. მხოლოდ მაშინ, როცა უპირატესობას მიანიჭებს ადამიანურ ღირსებას, იგი დაიმკვიდრებს ადგილს ცივილიზებულ ერთა ოჯახში და დაიცავს თავს, როგორც ეროვნული მთელი.

ჩვენ ვიცით, თუ რა არის თანხმობის დიადი ძალა. მას უნდა ვეყრდნობოდეთ დღესაც, როცა კვლავ გაჩაღდა და საშიშ ნიშნულს მიაღწია უთანხმოებებმა, რომლებმაც შეიძლება მოსპონ ყოველივე, რაც შეიქმნა ჰელსინკის პროცესის წლების მანძილზე.

მოუწოდებს რა ამისთვის სხვებსაც, საქართველო კისრულობს ვალდებულებას იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ თანხმობის საფუძველზე.

ჩემი ქვეყნის სახელით მადლობას მოგახსენებთ ყველას, ვინც მხარი დაუჭირა საქართველოს რესპუბლიკის გაწევრიანებას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირში.

ჩვენ გავამართლებთ თქვენს ნდობას ჰელსინკის ოჯახის განმტკიცებაში ღირსეული მონაწილეობით.

9 ივლისი. ჰელსინკი. შეხვედრები

ედუარდ შევარდნაძის და ჯორჯ ბუშის შეხვედრა

9 ივლისს, დილით ჰელსინკის უმაღლესი დონის შეხვედრის პირველი პლენარული სხდომის დაწყებამდე საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის მეთაური, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე შეხვდა და ესაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს.

საუბარმა გულთბილ, სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. მასზე განხილულ იქნა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის, აგრეთვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისადმი დამოკიდებულების უმნიშვნელოვანესი საკითხები. საუბარი შეეხო აგრეთვე რეგიონალურ პრობლემებს.

სურათზე: სხდომათა დარბაზში.

საქინფორმის ტელეფოტო.

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ფინეთის პრეზიდენტს მაუნო კოივისტოს

„ჩვენ დაინტერესებული ვართ საქართველოს რესპუბლიკასთან გვქონდეს კარგი და ფართო ურთიერთობა", თქვა ბატონმა კოივისტომ შეხვედრაზე, რომელიც 8 ივლისს ჰელსინკში გაიმართა.

ორი სახელმწიფოს მეთაურებმა გაიხსენეს, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს 1985 წლის აგვისტოში, როცა ჰელსინკის დასკვნითი აქტის 10 წლისთავს აღნიშნავდნენ.

ედუარდ შევარდნაძემ მადლობა უთხრა ფინეთის პრეზიდენტს იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც მან გამოიჩინა, რათა საქართველოს ხელი მოეწერა ჰელსინკის დასკვნითი აქტისათვის.

ორივე მხარე საუბრისას შეეხო მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ევროპასა და მთელ მსოფლიოში მიმდინარე გარდაქმნებს უკავშირდება. გამოითქვა სრული მზადყოფნა მხარი დაუჭირონ ამ მოვლენებს და ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათ განვითარებას.

ედუარდ შევარდნაძემ ხაზი გაუსვა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების — ახალი ქვეყნების ევროპის პროცესში ჩართვის აუცილებლობას. ეს ხელს შეუწყობს ამ პროცესების გაღრმავებას და გაფართოებას, — აღნიშნა მან.

შემდეგ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თხოვნით, ედუარდ შევარდნაძემ მას გააცნო საქართველოში არსებული ვითარება. დაახასიათა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი მთავარი პრობლემები და გამოთქვა სურვილი ყოველმხრივი ფართო კონტაქტები დამყარდეს ფინეთის საქმიან წრეებთან, რომლებსაც საქართველოსათვის ბევრის გაკეთება შეუძლიათ. ფინეთის პრეზიდენტი დაეთანხმა ასეთი თანამშრომლობის იდეას და თავის მხრივ რამდენიმე კონკრეტული წინადადებაც შესთავაზა, კერძოდ, ეს წინადადებები შეეხებოდა ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივებს.

ედუარდ შევარდნაძემ საქართველოში მიიპატიჟა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. მაუნო კოივისტომ დიდი მადლიერებით მიიღო ეს მოპატიჟება.

შეხვედრის დროს საქართველოს რესპუბლიკის და ფინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებმა [illegible] გაცვალეს დოკუმენტები ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

საუბარი ასკარ აკაევთან

8 ივლისს ჰელსინკში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაციის მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ასკარ აკაევს. შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ ორ ქვეყანას შორის დამყარდეს დიპლომატიური ურთიერთობა.

ჩვენს ქვეყნებს შორის უნდა აღდგეს ძველი კავშირები და ისინი კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს; ამასთან უნდა დავიწყოთ მზადება ფართო პოლიტიკური შეთანხმებისათვის, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა ახლავე შეუდგნენ ამ მუშაობას. [illegible] დოდა გვქონოდა საქართველოსთან, ეს განვუცხადეთ კიდეც რესპუბლიკის წინა ხელისუფლებას, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეს არ მოხერხდა. ახლა ამ ურთიერთობას აღვადგენთ, ამაში ხელს აღარაფერი გვიშლის. ჩვენს ხალხებს სურთ ერთმანეთთან ითანამშრომლონ, — აღნიშნა ასკარ აკაევმა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არსებულ შიდა კონფლიქტებზე, კერძოდ, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტზე საუბრისას ორივემ დაუჭირა მხარი პოლიტიკური მშვიდობიანი მეთოდებით მათი გადაწყვეტის აუცილებლობას. ასკარ აკაევმა ედუარდ შევარდნაძეს გააცნო ახლახან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმაღლესი დონის ბოლო შეხვედრაზე მის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი, რომ თანამეგობრობამ არ უნდა დაუჭიროს მხარი სეპარატიზმის არანაირ გამოვლინებას.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ვლადიმერ პეტროვსკი

8 ივლისს ჰელსინკში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაციის მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თავის რეზიდენციაში მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე ვლადიმერ პეტროვსკი.

ვლადიმერ პეტროვსკიმ ედუარდ შევარდნაძეს გადასცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს გალის პირადი მოკითხვა და მილოცვა იმასთან დაკავშირებით, რომ უშიშროების საბჭომ რეკომენდაცია მისცა გენერალურ ასამბლეას საქართველოს რესპუბლიკა მიღებულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

შეხვედრის დროს განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უშუალოდ შესვლასთან დაკავშირებული საკითხები. განისაზღვრა ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის ვადებიც.

„ჩვენ მოუთმენლად ველით თქვენს ჩამოსვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, — აღნიშნა ვლადიმერ პეტროვსკიმ, — მის ყველა წევრს, აპარატის ყოველ მუშაკს კარგად ახსოვს თქვენი ზრუნვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციას მართლაც მთავარი ფორუმის სახელი მოეპოვებინა და დაემკვიდრებინა".

ვლადიმერ პეტროვსკიმ ედუარდ შევარდნაძეს გააცნო ის მუშაობა, რომელიც ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატისა და მისი ინსტიტუტების რეორგანიზაციისათვის მიმდინარეობს, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს მათი ავტორიტეტი მთელს მსოფლიოში.

ედუარდ შევარდნაძემ ვლადიმერ პეტროვსკის სთხოვა გადასცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბუტროს გალის მისი პირადი მოპატიჟება საქართველოში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრი

ცნობები ჰელსინკიდან

საქართველოს მომავალი ოპტიმისტურია

ამის თქმის უფლებას გვაძლევს ფინეთის დედაქალაქში გამართული შეხვედრების პირველი შედეგები

დღეს მთელი საქართველოს ყურადღება, გასაგები მიზეზების გამო, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკისკენ არის მიმართული, განსაკუთრებული დაინტერესებით მოველით იქიდან მოსულ ყოველ სასიკეთო ინფორმაციას. ვითვალისწინებთ რა ამას, ვბეჭდავთ საქართველოს დელეგაციის წევრის ბატონ ვალერი კვარაცხელიას მიერ ჰელსინკიდან გადმოცემულ ინფორმაციას, რომელიც გუშინ „პიკის საათმა" გააცნო მსმენელებს, და რედაქციის თხოვნით ტელერადიოდეპარტამენტში მომუშავე ჩვენმა კოლეგებმა მოგვაწოდეს.

აქ, ჰელსინკში, ძალიან დატვირთული და დაძაბული სამუშაო დღეებია. გუშინ და დღეს, გარდა იმისა, რომ მონაწილეობდა თათბირის მუშაობაში, საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ჰქონდა ბევრი და, რაც მთავარია, დიდმნიშვნელოვანი შეხვედრა. უწინარეს ყოვლისა მინდა აღვნიშნო, რომ იმ 9 სახელმწიფოს შორის, რომლებმაც ხელი მოაწერეს ჰელსინკის საბოლოო აქტს, პარიზის ქარტიას და შეუერთდნენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნებს, არის საქართველოც. რაც შეეხება შეხვედრებს, გუშინ და დღეს დილით გაიმართა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა. კერძოდ, გუშინ ბატონი ედუარდი შეხვდა ფინეთის პრეზიდენტს ბატონ კოივისტოს. ეს შეხვედრა უაღრესად ნაყოფიერი იყო. მარტო იმის თქმაც იკმარებს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოსა და ფინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ამ პირველსავე შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა პოლიტიკის, ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში შემდგომი ურთიერთობის ფორმებსა და მეთოდებზე.

ჩემი აზრით, ასევე ძალიან საინტერესო გამოდგა შეხვედრა ყირგიზეთის პრეზიდენტ აკაევთან.

განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრა გაეროს გენერალური მდივნის მოადგილესთან ბატონ პეტროვსკისთან, რომელიც ბატონმა შევარდნაძემ თავის რეზიდენციაში მიიღო. თვითონ გენერალური მდივანი ჰელსინკში არ ჩამოსულა.

ეს — რაც შეეხება გუშინდელ შეხვედრებს. ამ დილას კი ამერიკის რეზიდენციაში გაიმართა ბატონების ჯორჯ ბუშისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა, რომელსაც ამერიკის მხრიდან ესწრებოდნენ ბეიკერი, სკოუკროფტი, ზელეკი, ნაილსი, ჰამბერტი და ფიცუოტერი. საქართველოს მხრიდან — ჩიკვაიძე, ჩარკვიანი, ალექსიძე, სტეფანოვი და კვარაცხელია. შეხვედრა დაიწყო პრეზიდენტ ბუშის განსაკუთრებით ხაზგასმული სიხარულის გამომხატველი სიტყვებით ბატონ შევარდნაძესთან შეხვედრის გამო. აქვე ვიტყვი, რომ ეს შეხვედრა განსაკუთრებით გულთბილი, გაცილებით უფრო გულთბილი და მეგობრული იყო, ვიდრე ნებისმიერ ჩვენგანს შეეძლო წარმოედგინა. ბატონმა პრეზიდენტმა წარმოთქვა ასეთი შინაარსის სიტყვები:

— ჩვენ ძალიან გვინდა დაგეხმაროთ, და ყველაფერს ვიღონებთ საამისოდ. მადლობელი ვართ, რომ დათანხმდით იმ ძნელ თანამდებობას, რომელიც ახლა გიკავიათ. ჩვენ ვალში ვართ თქვენს წინაშე...

ეს — რაც შეეხება შეხვედრის ატმოსფეროს, განწყობასა და ურთიერთდამოკიდებულებას.

თვითონ საუბარი კი ძალიან საქმიანი და ლაკონური იყო. ედუარდ შევარდნაძემ, შეაფასა რა საქართველოს მდგომარეობა, კერძოდ, ბრძანა, რომ საშინაო პოლიტიკაში დემოკრატიზაციისა და სტაბილიზაციის პროცესი შეუქცევადი გახდა. რაც შეეხება ქართულ-ოსურ კონფლიქტს, იგი, მართალია, არსებობს, მაგრამ მისი გადაწყვეტა უკვე რეალურად შესაძლებელია, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოგვარებამ. შეეხო რა საქართველოს საგარეო ურთიერთობას, ბატონმა შევარდნაძემ აღნიშნა, რომ კარგი ურთიერთობა ყალიბდება თურქეთთან, ირანთან, რუსეთთან, უკრაინასთან, სხვა მეზობელ ქვეყნებთან. შემდეგ მან ილაპარაკა საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე ევროპისა და აზიის ქვეყნებისთვის, და ვრცლად შეჩერდა შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა თანამშრომლობის მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე, აღნიშნა, რომ სწორედ ამ რეგიონშია ისეთი აფეთქებასაშიში შედარებით მცირე რეგიონები, როგორიცაა ბალკანეთი და კავკასია. ბატონი ბუში სავსებით დაეთანხმა ბატონ შევარდნაძის მოსაზრებებს და, თავის მხრივ, აღუთქვა ყოველგვარი დახმარება და მხარდაჭერა. პრეზიდენტ ბუშთან შეხვედრა გაიმართა დღეს, დილის 8 საათზე. მერე მთელი დელეგაცია დაესწრო ჰელსინკის თათბირს. 11 საათზე შესაძლებელი გახდა ბატონების შევარდნაძისა და ელცინის შეხვედრის მოწყობა.

მინდა ერთ რამეში დავარწმუნო ყველა: თუ საქართველოში სტაბილიზაციას მივაღწევთ, თუ გაერთიანებასა და კონსოლიდაციას შევძლებთ, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობანი ისეთი დაჩქარებული ტემპით ვითარდება, რომ სულ მალე ჩვენი სამშობლო, ალბათ, მტკიცედ გაიმართება წელში.

ნომერში

- ხვალის პრობლემები დღეს წყდება. 2
- ერის ეკონომიკური და სულიერი აღორძინება ახლავე უნდა დაიწყოს. 3

კონტაქტები რუსეთის დედაქალაქში

8 ივლისს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს შენობაში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დელეგაციისა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რუსლან ხასბულატოვის შეხვედრა.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სახელმწიფო საბჭოს კულტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ელდარ შენგელაია, ეკონომიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვალერიან ადვაძე, ეროვნული უმცირესობებისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოში რუსული ეროვნების მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხთა ქვეკომისიის თავმჯდომარე იგორ ბოგომოლოვი, სახელმწიფო საბჭოს ორგანიზაციული განყოფილების გამგე, საგარეო ურთიერთობის კომისიის წევრი ირაკლი ქადაგიშვილი.

ბატონმა ხასბულატოვმა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს დელეგაციის მიღების დროს განაცხადა, რომ რუსეთი და პირადად იგი დაინტერესებული არიან რუსეთსა და საქართველოს შორის უაღრესად კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებით. შეხვედრაზე შეთანხმდნენ ორივე სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურების თანამშრომლობის თაობაზე.

საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში იმავე დღეს გაიმართა ჩვენი დელეგაციის პრესკონფერენცია.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით 9 ივლისს დელეგაცია შეხვდა ამ უწყების წარმომადგენლებს. გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი სხვადასხვა დონეზე თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივის შესახებ, აგრეთვე რუსეთსა და საქართველოს შორის მომავალი ყოვლისმომცველი ხელშეკრულების მომზადების თაობაზე.

მოსკოვში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პრესცენტრი.

დახმარების გაზრდა აუცილებელია

1992 წლის 8 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოადგილემ რომან გოცირიძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებითი რწმუნებული საქართველოში ბატონი კენტ ბრაუნი და საელჩოს მრჩეველი ბატონი ნეილ სილვერი.

საუბარი გაიმართა საქართველოს ეკონომიკის მმართველობის სტრუქტურების, მისი რაციონალიზაციის, ეკონომიკური მდგომარეობისა და ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის შესახებ. სტუმრებს გააცნეს საქართველოში ეკონომიკის ოპერატიული მართვის, მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პრინციპები, მისი სარეალიზაციო ნორმატიული აქტების მომზადების, ეკონომიკის ტრანსფორმაციის, პრივატიზების საკითხები, ის უფლებები, რომლებითაც სარგებლობენ უცხოელი ინვესტორები საქართველოში, და სხვა.

ბატონმა კ. ბრაუნმა გამოთქვა აზრი, რომ უნდა გაიზარდოს ამერიკელი ექსპერტებისა და კონსულტანტების დახმარება საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისა და ჩვენი ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ კავშირებში ჩართვის პროცესში. გამოიკვეთა თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების ორმხრივი დაინტერესება.

მასპინძელია ფინეთი



სურათებზე: ჰელსინკი. ქრისტიანული ეკლესია; ტამპერე. ყვავილებით ვაჭრობა ქალაქის ქუჩებში; ფინეთის დედაქალაქის ძველი უბანი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

თენგიზ სიგუა: კახეთი საქართველოს ძლიერების ბურჯია!

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ბაღა-ბაღრი, იმისთანა გვაქვს... აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე... იცოდე დღეს მძლეთა-მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება — კახეთზე დიდი ილიას სიყვარულით თქმული ამ სიტყვებით გახსნა მთავრობის საგანგებო გასვლითი სხდომა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ.

თათბირი გაიმართა 8 ივლისს თელავში. იგი უფრო ადრე იყო განზრახული, მაგრამ შინააშლილობამ, პოლიტიკურმა შფოთიანობამ გადასწია ვადები. ზონალური თათბირები უკვე მოეწყო ქუთაისში, გორში და წყალტუბოში. მართალია, რეგიონები იცვლებოდა, მაგრამ დღის წესრიგი ერთი იყო: მიმდინარე ეტაპზე ადგილობრივი მმართველობის ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები. არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ ამჯერად თელავი მასპინძლობდა კახეთის ყველა რაიონს. სულ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს მთავრობის პრეზიდიუმის სხდომაზე მოისმინეს და მოიწონეს სწორედ თელავის რაიონის საკრებულოს გამგეობის ანგარიში.

თენგიზ სიგუამ დაწვრილებით გააანალიზა რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია, დიდი ყურადღება დაუთმო ეკონომიკის გაჯანსაღების პრობლემებს, რაშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნისათვის მის ტრადიციულ დარგს — მევენახეობას.

კახეთი, ისევე როგორც საქართველოს ყველა რეგიონი, ჩვენი ქვეყნის ძლიერების ბურჯია, — თქვა ბატონმა თენგიზმა, — და ჩვენი ამოცანაა დავსახოთ კახეთის აღმავლობის გზები. და თუ ისევ დიდ ილიას სიტყვებს მოვიშველიებთ, გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუმაგროთ და ამისათვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოცქიქოლოთ.

ბედი ვაზისა — ბედი კაცისა

ვაზისადმი ქართველი კაცის უზომო სიყვარული რომ არა, არასოდეს აღმოხდებოდა დავით აღმაშენებლის მემკვიდრეს დიმიტრე პირველს ვაზის კუფხალივით მადლიანი ღვთიური საგალობელი „შენ ხარ ვენახი“. ვაზი ქართველი კაცისთვის არასოდეს ყოფილა მხოლოდ შემოსავლის წყარო, იგი იყო სულის ნაწილი, გულის მესაიდუმლე:..

ამიტომაც, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ნოდარ ჭითანავას მოხსენებაში თუ გურჯაანის რაიონის გამგებლის ზაურ მანიკაშვილის სიტყვაში, კახეთის რაიონის რწმუნებულის გელა გოდერძიშვილის გამოსვლაში თუ დედოფლისწყაროს გამგებლის იოსებ ნატროშვილის საუბარში ვაზი და მისი ბედი დაკავშირებულია მთელ საქართველოსთან. კახეთს საქართველოს ტკივილი სტკივა და ამიტომ დღეს კახეთის პრობლემების გადაწყვეტაში მთავარია პოლიტიკური სტაბილურობა.

რთველი კარს მოგვადგა. ვართ თუ არა მზად მის შესახვედრად? ეს კითხვა აღელვებდა ყველა გამომსვლელს. პრივატიზაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი ყურძნის მოწევას და მოვლა-პატრონობას. საგულისხმოა, რომ ბევრი საკითხი დასვეს არა მარტო გამომსვლელებმა, არამედ დარბაზიდანაც, გაგაცნობთ მხოლოდ ზოგიერთს, რომლებსაც, ჩვენი აზრით, გლობალური მნიშვნელობა აქვთ:

— შარშან კახეთში ჩაბარებული ყურძნის საზღაური დღესაც არ მიუღია გლეხს. რა მოელის მას წელს?

— რა ფასად ჩაიბარებენ წელს, ღვინის ქარხნები ყურძენს?

— როგორ იყიდოს კახელმა გლეხმა შაბიამანი, რომელსაც სთავაზობენ კილოს 80-100 მანეთად?

— ვინ მოიწევს მოსავალს იმ მიწებზე, რომლებიც პრივატიზებულია, მაგრამ დღეს მოიჯარის ხელშია?

— რატომ შეიქმნა არასახარბიელო მდგომარეობა მევენახეობაში?

ამ კითხვებს უპასუხებდნენ მინისტრები, მთავრობის წევრები, კონცერნის თავმჯდომარეები. გლეხს ჯერაც ვერ გაუაზრებია ბოლომდე, რომ მორჩა და მოისპო ძველი დრო, რომ ქართველი კაცი ახალ ცხოვრებას იწყებს; რომ ფასების ლიბერალიზაცია აძლევს უფლებას თვითონ დააწესოს ფასი და შეუთანხმდეს ღვინის მწარმოებელს. ბევრმა დარბაზიდან მოითხოვა, რომ მთავრობამ დააწესოს ყურძნის შესასყიდი მინიმალური ფასი. თათბირზე განიმარტა, რომ ფასები თავისუფალია, რომ გლეხებს შეუძლიათ გაერთიანდნენ ღვინის ქარხნის თანამშრომლებთან და ერთობლივად გადაწყვიტონ ეს საკითხი.

განიმარტა ისიც, რომ მოიჯარე, რომელსაც ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მეურნეობასთან, შემოდგომაზე მოსავლის აღების შემდეგ უკვე ამ მიწის მესაკუთრე გლეხის გახდება.

რაც შეეხება არასახარბიელო მდგომარეობას მევენახეობაში, რაზეც გაამახვილეს ყურადღება თელავის რაიონის გამგებელმა მერაბ ხიდეშელმა, და ლაგოდეხის რაიონის გამგებელმა დავით ლომიძემ და სხვებმა, მიზეზები ასეთია: ვენახი სამეცნიერო რეკომენდაციების გაუთვალისწინებლად შენდება, კატასტროფულად შემცირდა ისეთი უნიკალური ჯიშები, როგორიცაა საფერავი და მწვანე; უხვმოსავლიანი ჯიშები რქაწითელი, ცოლიკაური, ჩინური, დაიკარგა უნიკალური ტრადიციები, დაირღვა ჯიშთა თანაფარდობა.

პრობლემები ამოცანებს განსაზღვრავს. როგორც ყველა გამომსვლელმა აღნიშნა, უპირველესად სრული პოლიტიკური მშვიდობა უნდა დამყარდეს მთელ საქართველოში, აილაგმოს ყაჩაღობა, მძარცველობა, კახელი გლეხი არ უნდა მიდიოდეს ვენახში იარაღით, მას არ უნდა სჭირდებოდეს თავის დაცვა და მაშინ მიუბრუნდება სულით და გულით ვაზს, ვაზი კი მას მსოფლიო სარბიელზე გაიყვანს, სახელს გაუთქვამს და დოვლათსაც მოუტანს.

„გასწი ჭაპანსა და გაიტანე გუთანი ბოლოს“

დღეს კახეთში ალოობაა. დიდი თუ პატარა სამკალშია, მაგრამ აქაც პრობლემებია. მწვავედ დგას საწვავ-საპოხი მასალის საკითხი. სად იყიდოს გლეხმა დიზელის საწვავი და ბენზინი, რომელიც ლიტრა ოცი მანეთი ღირს? არ არის ფული, არ არის მასალები. როგორც საქართველოს სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტების“ თავმჯდომარემ გერმან მეძმარიაშვილმა ბრძანა, რესპუბლიკის ორგანიზაციებს მილიარდ მანეთზე მეტი დავალიანება აქვთ, საწვავს კი ნისიად დღეს არავინ არ იძლევა. ეს პრობლემა დაუყოვნებლივ მოსაგვარებელია.

სხდომაზე დაისვა სოციალური დაცვის საკითხებიც. გლეხებს არა აქვთ მიღებული პენსიები, ხელფასები... სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს დამცავი ღონისძიებები.

მრავალ საკითხთა შორის მწვავედ დაისვა ადგილობრივი ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხიც. ხშირად გამგებელი ვერ წყვეტს ამა თუ იმ საკითხს, რადგან სათანადო ძალაუფლება არა აქვს. აქ კი მას საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა სჭირდება.

გასვლითმა სხდომამ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დღეს, რთველის წინ აწუხებთ მევენახეებს, ოპერატიულად გადაწყვიტა, საგანგებო პრობლემები კი ასევე საგანგებოდ აღრიცხეს.

იმისთვის, რომ ყველა პრობლემა დადებითად გადაწყდეს, ითქვა სხდომაზე, საჭიროა მთელი საქართველო ერთ მუშტად შეიკრას და ერთად გასწიოს ჭაპანი, რათა გუთანი ბოლომდე გაიტანოს.

მევენახეებს ვალი მაქსიმალურად უნდა გავუსწოროთ

ასე განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას ბატონმა თენგიზ სიგუამ სხდომის დამთავრების შემდეგ.

შეეხო რა სხდომის შედეგებს, მან აღნიშნა:

ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ყველა რეგიონში ჩაგვეტარებინა თათბირი, რადგან თბილისში ყველა საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. აქ უშუალოდ ხდება რაიონების წამყვანი მუშაკების შეხვედრა სამინისტროს ხელმძღვანელებთან. ბევრი საჭირბოროტო საკითხი აქვე, ადგილზევე წყდება, მაგალითად, ქუთაისში გამართული თათბირის შედეგად გამოიკვეთა 21 საკითხი. მათგან 17 საბოლოოდ უკვე გადაწყვეტილია, დღესაც ბევრი საკითხი ოპერატიულად გადაწყდა.

მთავარი პრობლემა, რომელიც ჩვენი აგროსექტორის წინაშე დგას, მიწის საკუთრებაში გადაცემაა. ეს უდიდესი მნიშვნელობის საკითხია არა მარტო ეკონომიკაში, არამედ პოლიტიკაშიც. შვიდი ათეული წლის განმავლობაში პირველად მიწა მიეცა იმას, ვინც მას ამუშავებს. ეს არის ჩვენი სოფლის მეურნეობის ხვალინდელი დღე. უახლოეს ორ-სამ წელიწადში მოსავლიანობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ეს არც არის გასაკვირი. დღეს ყველამ ვიცით, სოფლად რა განსხვავებაა საზოგადო და კერძო სექტორებს შორის. მოსავლის თითქმის ნახევარი მოდიოდა კერძო სექტორზე, რომელსაც მიწის მეათედიც კი არ ჰქონდა მფლობელობაში. პრობლემებიც მრავალია. უპირველესი მათგანი კი — ეს გახლავთ საწვავ-საპოხი მასალის ნაკლებობა. სოფელი დღეს ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. მაგრამ, ცხადია, პრობლემა მარტო ეს არ არის. მიწის მიცემით ჩვენ ვერ გადავწყვიტავთ ყველაფერს. ახლა მთავარია სასოფლო შრომის ენერგომომარაგებისა და მექანაღჭურვილობის საკითხი.

მალე ფერმები გამსხვილდება. ჩვენ 1-1,25 ჰექტარამდე მივეცით მიწა გლეხს. ხვალ და ზეგ ზოგი მათგანი გაყიდის ამ მიწას, ზოგი კი იყიდის. გაჩნდებიან საშუალო და დიდი მიწის მფლობელები.

შემდეგი პრობლემა ის არის, თუ როგორ დაუკავშირდნენ ერთმანეთს კერძო და სახელმწიფო სექტორები, მევენახე და სახელმწიფო ღვინის ქარხანა. ამ მხრივ ჩამოყალიბდა რამდენიმე ვარიანტი. ჩვენთვის მისაღები იქნება ის, რომელსაც თვითონ მევენახეები მოიწონებენ. ახლა მთავარია რიგიანად დამთავრდეს მკა. და აი, კარს მოგვადგა რთველიც. მთავარია რაც შეიძლება უდანაკარგოდ დავაბინაოთ მოწეული მოსავალი. სახელმწიფო სექტორის საწარმოები მთლიანად მზად არიან მოსავლის ასაღებად. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც კახელ მევენახეებს აწუხებთ, ის არის, რომ შარშან ჩაბარებული მოსავალი მათთვის ჯერაც არ აუნაზღაურებიათ. ჩვენი ვალია ავუნაზღაუროთ ეს თანხა. თუ ყველას ვერ დავაკმაყოფილებთ ფულის ბანკნოტებით, სახელმწიფო ბანკმა მათ ანაბრები უნდა გაუხსნას, გაზრდილი პროცენტებით. ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად გავუსწოროთ ვალი ჩვენ მევენახეებს.

გალინა ჩიქოვანი.

ეკონომიკური ღერძი: თბილისი—ლუქსემბურგი—ბრიუსელი

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ოთარ ქვილითაია ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის დელეგაციას, რომელიც ლუქსემბურგსა და ბელგიაში იმყოფებოდა საქმიანი ვიზიტით.

პირველი შეკითხვა, რომლითაც ჩვენი საუბარი თითქოს ბუნებრივად უნდა დაწყებულიყო, ინტერვიუერის პროფესიული წუნით დაიდამლა. პასუხი იყო სამაგიეროდ საინტერესო:

— ბატონო ოთარ, ევროპაში თქვენი მოგზაურობის მიზნის შესახებ ორიოდ სიტყვა, თუ შეიძლება.

— ჯერჯერობით, — თქვა ბატონმა ოთარმა, — სამოგზაუროდ არც ერთ ქვეყანაში არ ჩავსულვარ, საქმიანი მივლინებებია. იმედი მაქვს, რომ ოდესმე მოგზაურობაც მომიწევს. დღესდღეობით კი, დამიჯერეთ, ევროპისა და ამერიკის ის ქალაქები, სადაც ვყოფილვარ, არც კი დამითვალიერებია, იმდენად ინტენსიურად იყო დატვირთული ჩვენი დღეღამური სამუშაო დრო.

ამჯერად ჩვენი პროგრამა ასეთი იყო: ლუქსემბურგში ხელი უნდა მოგვეწერა ევროგაერთიანების კრედიტის ხელშეკრულებაზე 70 მილიონი ეკიუს ოდენობით, ბრიუსელში კი — მემორანდუმზე.

პირველი, რასაც ხაზს გავუსვამდი, ეს იყო საქმიანი და უაღრესად ნაყოფიერი შეხვედრები საბანკო საქმის ხელმძღვანელობასთან ევროპის კომისიის საბანკო დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან ჰერბერტ ზარტმანთან, გენერალურ დირექტორთან ენრიკო კლოფლთან, დივიზიონის ხელმძღვანელთან ანტონიო ზლოკთან. ამ შეხვედრებს, წესისამებრ, ესწრებოდნენ იურისტები, კანონმდებლები, ჩვენი მხრიდან კი — ფინანსთა მინისტრი ვაჟა ჯინჯიხაძე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ კაკულია, ევროპული საქმეების კოორდინატორი ჩვენს რესპუბლიკაში, მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრის მოადგილე მირაბ კლიმიაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი.

გადაწყვეტილი გვქონდა, ლუქსემბურგში მაქსიმალური ინტენსივობით გვემუშავა და დროის მოგების მიზნით იმავე დღეს ჩავსულიყავით ბრიუსელში. სწრაფად საქმის მომთავრება არ გამოვიდა, რადგან სერიოზული შენიშვნები გაგვიჩნდა ხელშეკრულების ტექსტის მიმართ. საჭირო გახდა ჩვენი პოზიციის დაბეჯითებით არგუმენტირება, ამას, ცხადია, დრო დასჭირდა — თითქმის სრული სამუშაო დღე, სამაგიეროდ ყველა ჩვენი შენიშვნა მიიღეს. პრაქტიკულად ეს ხელშეკრულების თავიდან გაფორმებას და ხელმოსაწერად გამზადებას ნიშნავდა, რასაც ორი დღე მაინც დასჭირდებოდა. ამიტომ დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან მოვილაპარაკეთ და ორივე მხარემ შეთანხმებულად ჩავთვალეთ ეს დოკუმენტი, ხელმოწერებს კი ფაქსებით გავცვლით.

აუცილებელ ფორმალობათა ასეთი შეკვეცის მიუხედავად (იმის მიუხედავადაც, რომ სადილისთვის დრო არ დაგვიკარგავს) ძლივს მივუსწარით ბელგიის დედაქალაქში მიმავალ მატარებელს. ბრიუსელში კი ექვსის ნახევარზე უკვე დანიშნული გვქონდა შეხვედრა ევროკომისიის წარმომადგენლებთან.

— თქვენს წინა ინტერვიუებში არაერთხელ გითქვამთ, რომ დასავლეთში ტრადიციული რეგლამენტირება ჩვენი დელეგაციის მიზეზით არაერთხელ დარღვეულა. ამჯერადაც ასე ხომ არ იყო?

— რა თქმა უნდა. ბრიუსელში ევროპარლამენტის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ანდრიასენთან ჩვენი შეხვედრა 10 წუთით იყო განსაზღვრული, ერთ საათამდე კი გაგრძელდა. საქართველოსადმი ინტერესი უაღრესად დიდია და ჩვენთან ხანგრძლივი საუბარი სრულიადაც არ მიაჩნიათ დროის ფლანგვად.

ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ბრიუსელში ევროკომისიის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, აგროკულტურის, ფინანსებისა და ინვესტიციის, სხვა დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან შეხვედრებისა და ურთიერთსასარგებლო საუბრების დროს.

იმასაც გეტყვით, რომ ბატონმა ანდრიასენმა, რომელმაც 24 ივნისის ავანტიურის შემდეგ უარი თქვა თბილისსა და ერევანში დაგეგმილ ჩამოსვლაზე, ჩვენს დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტა, აღადგინოს ადრინდელი გეგმა, ვიზიტი განახლდება.

პარალელურად ვმუშაობდით კანონმდებლებთან და იურისტებთან მემორანდუმის ახალი ტექსტის შესადგენად. დაზუსტებულ და დახვეწილ ამ დოკუმენტს ხელი მოვაწერეთ. მის საფუძველზე ვიღებთ 70 მილიონ ეკიუს. შეთანხმება უახლოეს დღეებში შედის ძალაში.

თქვენი გაზეთის მკითხველების ყურადღებას მივაქცევდი ასეთ საკითხს: დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან შეხვედრების დროს გამოიკვეთა ერთი აზრი, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა გადაიქცეს ამიერკავკასიაში ევროგაერთიანების ცენტრად, საგანგებო ბიუროთი თბილისში, რომელიც სამივე რესპუბლიკასაც მოემსახურება და სხვა ზონებსაც გასწვდება.

დეტალური და პრაქტიკული მუშაობა ჩავატარეთ ე. წ. სასაქონლო ჯგუფებთან — ხორბლის, ხორცის, შაქრის და სხვა ჯგუფებთან. გახსოვთ, ალბათ, კრედიტების ჩვენთვის მიცემის პირობით საქონელი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში უნდა შევიძინოთ, სხვაგან არსად.

კრედიტი — 70 მილიონი ეკიუ, რაც 84 მილიონი დოლარის ტოლფასია (და არა მანეთისა, როგორც ზოგიერთმა გაზეთმა დაწერა), სოლიდური ოდენობით საქონლის შეძენის საშუალებას იძლევა.

— კონკრეტულად რისას?

— ხორცის პროდუქტების, რძის ნაწარმის — ყველის, კარაქის, ბავშვთა კვების პროდუქტების და მაქსიმუმ 5 მილიონ ეკიუმდე მედიკამენტებისას.

— რატომაა ასეთი დისპროპორცია?

— ეს კითხვა იქაც დაისვა. ვუპასუხეთ, რომ ჩვენი ამოცანაა ხალხი დავაპუროთ. შევუნარჩუნოთ ჯანმრთელობა, თორემ დამშეულს და დასუსტებულს წამლები ველარაფერს უშველის. ჩვენი ეს პოზიცია არა მარტო გაიზიარეს, კეთილადაც განეწყვნენ და გვითხრეს, რომ ეს თანხა ასე დარჩეს, ჩვენ კი ან ჰუმანიტარულ დახმარებას გაგიზრდით ან დამატებით კრედიტებს მოგცემთ მედიკამენტების შესაძენად.

ასეთია კონკრეტული შედეგები. ახლა უნდა ამუშავდეს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის კომიტეტი, უნდა დაიდოს ხელსაყრელი კონტრაქტები ევროპის ფირმებთან, რომლებსაც რეკომენდაციას უწევს ევროკომისია და, ამასთან, უნდა იმუშაონ პერსპექტივაზეც, რადგან კონკრეტულ პარტნიორებთან ურთიერთობა მათთან უშუალო კონტაქტების დამყარების საფუძველი უნდა გახდეს, მომავალში უკვე ევროპის კრედიტების გარეშე ერთობლივი საქმიანობის წარსამართავად.

— რა ვადით გეძლევათ კრედიტი?

— მისი მოქმედების ვადა ფაქტობრივად განუსაზღვრელია, მაგრამ გაჭიანურება ჩვენ ხელს არ გვაძლევს და ვვარაუდობთ, რომ მისი სრულად ათვისება 2-3 თვის საქმეა.

კრედიტის პროცენტს გადავიხდით 6 თვეში ერთხელ, ასე ჩავაწერინეთ ლუქსემბურგის ხელშეკრულებაში თავდაპირველი ვარიანტით ნავარაუდევი იყო, რომ პროცენტები კრედიტის სრული მოცულობიდან უნდა გვეხადა. ჩვენი შესწორების შემდეგ — გადავიხდით მხოლოდ ათვისებული, გამოყენებული კრედიტის ოდენობიდან, თანაც იმ დღიდან, როდესაც კონტრაქტი არა მარტო გაფორმებული, არამედ გადახდილი იქნება.

— ეს ძალიან მომგებიანია ჩვენთვის.

— რა თქმა უნდა. საბოლოოდ ანგარიში 8 წლის მერე უნდა გავასწოროთ, კრედიტის დადებითი მუხტი ისიცაა, რომ იგი თავისებური გარანტიაა, წინაპირობაა ქვეყნებს შორის უშუალო ურთიერთობის დასამყარებლად.

ყოველთვის ვალით ხომ არ ვიცხოვრებთ? თანდათან ჩვენც გავსწორდებით წელში და ეს მდგომარეობაც განიმუხტება.

— შემდეგი ვიზიტი სად გაქვთ დაგეგმილი?

— ამერიკის შეერთებულ შტატებში, მსოფლიო ბანკთან ხელმოწერის ცერემონიალზე და იმ სამუშაოს ჩასატარებლად, რაზეც ადრე უკვე ვესაუბრე „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს.

ქემერტს თავს დაესხნენ

9 ივლისი. ეროვნული გვარდიის მღვრეკისის შტაბიდან საქინფორმის კორესპონდენტები რობერტ ცუცქირიძე და თემო ნაფიშვილი გვატყობინებენ:

8 ივლისის დილა ჩაუმწარეს ქემერტელ მოსახლეობას — გარიჟრაჟზე სოფელში განლაგებულ ეროვნული გვარდიის ნაწილს ტყეში ჩასაფრებულმა ოსმა „ბოევიკებმა“ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი და ქვემეხი დაუშინეს. სროლა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. ამ პროვოკაციას გვარდიელებმა არ უპასუხეს.

ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ოსთა შეიარაღებულმა ბანდამ სოფელში შეჭრა სცადა. გვარდიელები იძულებული გახდნენ ცეცხლი გაეხსნათ. ბანდა უკუიქცა. გვარდიელებმა ტყვედ ჩაიგდეს ბანდის ერთი წევრი, რომლის ვინაობასაც ადგენენ.

— 8 ივლისს მღვრეკისის ეროვნული გვარდიის შტაბში გაიმართა მორიგი მოლაპარაკება მეთვალყურეებსა და ეროვნული გვარდიის სარდლის მოვალეობის შემსრულებელ პოლკოვნიკ დევი ჩანკოტაძეს შორის პროვოკაციული სროლის დაფიქსირების თაობაზე, 9 ივლისს კი ოსების მხრიდან კვლავ დაირღვა შეთანხმება და სოფელ ქემერტს ცეცხლი გაუხსნეს, შეჭრაც დააპირეს, მაგრამ გვარდიელებმა ეს განზრახვა ჩაუშალეს, — გვითხრა შტაბის ოპერატიულმა მორიგე ოფიცერმა გელა გაფრინდაშვილმა, — დღეს ცხინვალის ვერტმფრენების პოლკის ტერიტორიაზე მხარეთა წარმომადგენლები კვლავ მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას, ვიცით, ზოგს არ სურს ცეცხლის შეწყვეტა, მაგრამ ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა საბოლოოდ შევწყვიტოთ ცეცხლი და გვჯერა, ამას მივაღწევთ კიდეც.

პარტიებსა და მოძრაობებში

◉

კიდევ ერთხელ განმარტებისათვის!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ა. წ. 7 ივლისის ნომერში რუბრიკით „ხალხი უნდა იცნობდეს“ გამოქვეყნდა ინფორმაცია საქართველოს დემოკრატიული კავშირის შესახებ. პუბლიკაციაში გატარებულია აზრი, თითქოს საქართველოს დემოკრატიული კავშირი შექმნილიყოს შარშან შემოდგომაზე რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაციის, მათ შორის საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის ბაზაზე. ანალოგიური ინფორმაცია საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ადრეც. საქართველოს დემოკრატიული კავშირის თანათავმჯდომარეები ა. მარგიანი და გ. მამულია მაშინ ამტკიცებდნენ, რომ დემოკრატიული კავშირი შეიქმნა წლეულს იანვარში და მასში სხვა პარტიებთან ერთად გაერთიანდა საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი. ამტკიცებდნენ აგრეთვე, თითქოს საქართველოს დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს ვალერიან ადვაძე.

ჩვენ მაშინვე მივეცით საზოგადოებრიობას განმარტება, რომ ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. ასეთივე განცხადებები გააკეთეს სხვა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და დამოუკიდებლად ვალერიან ადვაძემ.

იძულებული ვართ კიდევ ერთხელ კატეგორიულად განვაცხადოთ, რომ საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი, დღიდან მისი შექმნისა (1989 წლის აგვისტო) არ გაერთიანებულა და არც აპირებს გაერთიანებას არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში. ის თავად წარმოადგენს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას თავისი მიზნებით, ამოცანებით და ორგანიზაციული სტრუქტურით. ასევე განვმარტავთ, რომ ვალერიან ადვაძე დღიდან დაარსებისა არის საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის თავმჯდომარე და არასოდეს არ ყოფილა სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ამდენად, საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი არასოდეს არ ყოფილა და ბუნებრივია დღესაც არ არის საქართველოს დემოკრატიული კავშირის შემადგენლობაში და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ზემოხსენებული პუბლიკაცია ამ ნაწილში სინამდვილეს არ შეეფერება.

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობა

08.07.1992 წ.

მზადებიან მსოფლიო კონგრესისათვის

სოხუმი (ტელეფონით). გაზეთ „რესპუბლიკა აბხაზიას“ რვა ივლისის ნომერში დაიბეჭდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზების (აბაზა) პირველი მსოფლიო კონგრესის ჩატარების შესახებ, რომელიც 1992 წლის 28 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე კურორტ ბიჭვინთაში გაიმართება.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიებს, განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაევალათ დაეხმარონ საორგანიზაციო კომიტეტს კონგრესის ჩატარებაში.

აფხაზეთის პირველი მსოფლიო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულია აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ლაბახუა, მის მოადგილედ — ასოციაცია აპსადგილის (სამშობლოს) თავმჯდომარე იური არგუნი.

იოსებ გოგეჩია,
„სრ“ საკ. კორ.

ექო

◉

ანტისანიტარია ქალაქის ცენტრში

„საქართველოს რესპუბლიკა“,
№ 66

რედაქციას უპასუხებს თბილისის საქალაქო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარი ექიმი
თ. გაჩეჩილიანი

გაცნობებთ, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში წამოჭრილი საკითხი ქალაქის სანიტარიულმა სამსახურმა (მთაწმინდის რაიონის სანეპიდსადგურმა) რამდენჯერმე შეისწავლა ადგილზე, დასახა ღონისძიებები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, სანიტარიული წესების დამრღვევთა მიმართ განახორციელა ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები.

შემდეგ კი ქალაქის სანეპიდსადგურმა ადგილზე დაათვალიერა მეცნიერებათა აკადემიის ეზოს, საბაგირო გზის, კინოს სახლის, რესტორან „ეკრანის“ მიმდებარე ტერიტორია და დაადგინა, რომ აქ ამჯერად სისუფთავეა და სანიტარიული წესრიგია დამყარებული. გამონაკლისია მხოლოდ ერთი — კაფეს უკან მდებარე თავისუფალი ადგილი, რომელსაც ღამის საათებში გამვლელები აბინძურებენ და ამის გამო მძაფრი სუნი დგას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ადგილზე უნდა მოეწყოს საერთო სარგებლობის რეტირადი ან ღამის საათებში დაწესდეს მილიციის ზედამხედველობა.

ხვალის პრობლემები წყდება დღეს

აპოლონ სილაგაძე

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა, ეს არის განვითარების უმოკლესვადიანი, გარდამავალი, იძულებითად შექმნილი ეტაპი. სხვა მოვლენებთან ერთად, იგულისხმება, რომ ჩვენმა ერთმა — სახელმწიფოებრიობის შენების თვალსაზრისით, მთავარმა — მცდელობამ ფიასკო განიცადა. ეს იყო მცდელობა, შექმნილიყო ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების პირველი ციკლი, რომელიც პრინციპულად გამეორდებოდა დროის გარკვეული, ყველასათვის ცნობილი, სტაბილური მონაკვეთის შემდეგ: არჩეული ხელისუფლება მუდმივი რევიზიის პრესის ქვეშ იქნებოდა, ოპოზიცია თავისას მოიმოქმედებდა და, საბოლოოდ, ცივილიზებული პოლიტიკური ბრძოლის პირობებში, ციკლის დასასრულს ამომრჩეველი ან გაიმეორებდა თავის არჩევანს, ან სიმპათიებს გადასცემდა ოფიციალურად და კანონიერად მოქმედ ოპონენტებს, და ყველანი ახალ ციკლს დაუცდიდნენ.

ეს ასე არ მოხდა. ყოფილი ხელისუფლების მთავარი დანაშაული ის იყო, რომ დაწყებულ იქნა პარლამენტის შემადგენლობისა და რაოდენობის თვითნებური შეცვლის ყოვლად ამორალური კამპანია, რაც ამომრჩევლისა და არჩევნების აბუჩად აგდებას წარმოადგენდა — ხაზი გადაესვა არჩევნების შედეგებს (ე. ი. ხალხის ნებას) და იგნორირდა ლეგიტიმურობის პრინციპი (სხვათაშორის, თვითონ ხელისუფლებაც, შედეგად, კანონს გარეთ აღმოჩნდა, გახდა უკანონო).

ერთი სიტყვით, პირველი ცდა უნაყოფო გამოდგა — ნორმალური, ციკლური პოლიტიკური ცხოვრება ვერ იქნა დაწყებული. ამიტომ დრომ და ვითარებამ ეს მისია იმ პერიოდს გადასცა, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. სამწუხაროდ, ამ პერიოდს სხვა მისიაც გადაეცა — როგორმე შეიტანოს სტაბილიზაციის ელემენტები ჩვენს მთლიანად დანგრეულ საზოგადოებაში.

და მაინც — მიუხედავად სიტუაციის ტრაგიზმისა — მოცემული პერიოდის მთავარი ნიშანი, რომლითაც იგი მარკირებული იქნება ისტორიაში, არის სამართლიანობის აღდგენა იმ გაგებით, რომ, რაც ვერ განხორციელდა პოსტსაბჭოთა პერიოდში, განხორციელდეს პოსტპოსტსაბჭოთაში: ამ პერიოდში ამ ხელისუფლების მიერ საფუძველი ჩაეყაროს იმ ნორმალურ, ცივილიზებულ პოლიტიკურ დინამიკას, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, და რომელიც, წარმატების შემთხვევაში, უნდა ვიმედოვნოთ, ჩვენი ქვეყნის არსებობის მუდმივი სურათი იქნება.

სირთულე არსებობს. იგი იქმნება იმის გამო, რომ ეს ეტაპი დადგა არა კანონიერი, არამედ ძალისმიერი გზით (დადგა — ობიექტურად). შემდეგ: გადატრიალების შემდგომი განვითარებაც თავისთავად გულისხმობდა რაღაც მონაკვეთს არაკანონიერი მართვისა (ის, რომ ვერ იქნა შენარჩუნებული პარლამენტი, ერთადერთი მისიით — ახალი არჩევნების დანიშვნის მისიით, ყველას და არა ვინმეს ბრალია). და ბოლოს: როგორი ტრანსფორმაციებიც არ უნდა განიცადოს, არჩევნებამდელი ხელისუფლება ვერ იქნება ლეგიტიმური, ან უფრო სწორედ — ბოლომდე ლეგიტიმური, ხოლო, მეორე მხრივ, სწორედ მან უნდა მოამზადოს ჩვენი პოლიტიკური მომავლის ლეგიტიმაცია.

ამგვარად, თუ ჩამოვაყალიბებთ დღევანდელობის ორ მთავარ ამოცანას — ნორმალური; სახალხო არჩევნების და დემოკრატიული სტრუქტურების მომზადებას, უნდა ვთქვათ, რომ მეტის გაკეთება დღევანდელ ხელისუფლებას, ჯერ ერთი, არ შეუძლია, მეორეც, ამის არც უფლება აქვს.

ამიტომ ზემოთ თქმული ორი ამოცანისათვის დღევანდელი ტიპის ხელისუფლებას პრინციპულად ორი იდეის განხორციელება ჰმართებს: მართვის კოლექტიურობისკენ და ლეგიტიმურობისკენ მის არსენალში არსებული მინიმალური ნაბიჯების გადადგმა (განზრახვის განცხადება).

სახელმწიფო საბჭოს იდეა (რომელიც, სხვათაშორის, საქართველოს დემოკრატიულმა კავშირმა წამოაყენა) ამ ამოცანების რეალიზაციის გულისხმობდა. ჯერ ერთი, სამხედრო საბჭო, როგორც ასეთი, უქმდებოდა. მეორეც, სამოქალაქო, დროებითი ხელისუფლების პრინციპულად კოლექტიური ორგანო იქმნებოდა. მესამეც — და ალბათ მთავარი, — იგულისხმებოდა, რომ (ისევ და ისევ არჩევნებამდელ პერიოდში და პირობებში). ასეთი ორგანო შეძლებისდაგვარად აპრობირებული, ყველას თვალწინ განხორციელებული, ერთიანი მოქმედებით დაფუძნდებოდა (პირობითად — აირჩეოდა): ვთქვათ, სამხედრო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, ყველა პარტიისა და პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით, კენჭი ეყრებოდა თვით იდეას სახელმწიფო საბჭოსი (უმრავლესობით) და აირჩეოდა მისი საწყისი შემადგენლობა (ვთქვათ, დღევანდელი ოთხკაციანი პრეზიდიუმი); შემდეგ — საწყისი შემადგენლობის გაფართოებულ სხდომაზე, ისევ ყველა — რეგისტრირებული და არარეგისტრირებული — პოლიტიკური ორგანიზაციის მონაწილეობით, პარტიების და ორგანიზაციების (და ალბათ საწყისი შემადგენლობის) მიერ წარმოდგენილი კანდიდატურები განიხილებოდა და აირჩეოდა. ყველა შემთხვევაში, რაოდენობა მკაცრად შეზღუდული უნდა ყოფილიყო (დიდი რაოდენობისთვის შეიძლებოდა რაღაც დამხმარე ორგანოს, სათათბიროს, მოფიქრება). ასევე უნდა შეეზღუდათ თვითონ ადამიანებს თავიანთი სურვილი, მაინცდამაინც მოხვედრილიყვნენ საბჭოს შემადგენლობაში — ამისათვის საკმარის არგუმენტს თუნდაც ის წარმოადგენდა, რომ წინ ყველას კანონიერი არჩევნები ელოდა. (მაშინ, სხვათაშორის, არ შეიქმნებოდა ის დღევანდელი სიტუაცია, როდესაც აშკარად უპასუხო კითხვები დაგროვდა; მაგალითად: რატომ მოინდომეს აურჩეველ საბჭოში ყოფნა იმ ადამიანებმა, რომლებმაც არჩევით ხელისუფლებაში, არჩევნებში, არ მიიღეს მონაწილეობა; რატომ მოინდომეს ამავე საბჭოში ყოფნა იმ ადამიანებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნებში, მაგრამ დამარცხდნენ; რატომ მუშაობენ, ვთქვათ, „აფხაზური პრობლემის“ გადაწყვეტაზე ის ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე, პარლამენტში ყოფნისას, რბილად რომ ვთქვათ, ვერაფერი არგეს მის გადაწყვეტას; რატომ აძლევენ ზოგნი თავს უფლებას, ვთქვათ, „ოსურ პრობლემაზე“ მსჯელობისას ყველაფერი უაპელაციოდ ქართულ მხარეს გადააბრალონ და ა. შ. და ა. შ.)

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, რამაც, გლობალური აღმავლის პოზიციებიდან, დროც დაკარგა და დაბნევაც წარმოშვა. სახელმწიფო საბჭო დაკომპლექტდა საკონსულტაციო საბჭოს ბაზაზე, რომელიც დროებითი მთავრობის მიერ თავის დროზე ანონიმურად შეიქმნა ისე, რომ შერჩევის კრიტერიუმები არათუ არ განცხადებულა, არამედ დღემდეც გაუშიფრავია და არც ასორტიმენტია ბოლომდე გასაგები (შეიძლება, სამხედრო საბჭოს მოქმედების პირობებში, საერთოდ — იმდროინდელ სიტუაციაში, ეს ნაბიჯი ახსნას პოვებდეს კიდეც, მაგრამ გამართლებას — ალბათ მაინც ვერა). ამ სტრუქტურის გადატანა სახელმწიფო საბჭოში თავისთავად ნიშნავდა ისევ ანონიმურ მოქმედებას; ყველა შემთხვევაში — ლეგიტიმურობისკენ ერთი, შესაძლებელი, მინიმალური ნაბიჯის გადადგმად იგი ვერ აღიქმება; ისევე, როგორც შემდეგი ეტაპის ქმედებაც — აურჩეველი საბჭო აფართოებს თავის შემადგენლობას, ე. ი. იმატებს ვილაცას და გზას უკეტავს ვილაცას. კიდევ ერთი ფაქტი: სახელმწიფო საბჭოში მთელი პოლიტიკური სპექტრი, ე. ი. ყველა პარტია თუ პოლიტიკური ორგანიზაცია, არ არის წარმოდგენილი, ეს უკვე ნონსენსია: იმიტომ, რომ ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე პარტია საბჭოში ვერ მოხვდა — სახელმწიფო საბჭო არჩეული არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ეს უკვე მომხდარი ფაქტია (ხოლო ჩვენ არა მარტო წარმატებები უნდა ვუსურვოთ საბჭოს, არამედ დავეხმაროთ კიდეც მას წარმატებების მოპოვებაში), ჩვენ არ უნდა დაგვეკარგა და არ უნდა დავკარგოთ სურვილი მდგომარეობის გამოსწორებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში — მხედველობის არეში არ გვეყოლება ჩვენი პერსპექტივა და მომავალ ხელისუფლებას ახლავე შეიძლება მივაყენოთ ზარალი, რადგანაც მომავალ არჩევნებს სახელმწიფო საბჭო ნიშნავს.

სახელმწიფო საბჭომ მაინც შეძლო გადაედგა ლეგიტიმურობისკენ იმ დონის ნაბიჯი, რომელიც მას სადღეისოდ გარემოებისგან ჰქონდა ბოძებული. საქმე ისაა, რომ დროებითი ხელისუფლება ვერ ჩაითვლება კანონიერად, როგორც დროებითი ხელისუფლება, თუ იგი ფორმალურად არ განსაზღვრავს თავის დროებითობას. სხვა სიტყვებით, მისი სტატუსიც და კანონიერებაც მაშინაა გარკვეული, თუ ცნობილია მისი ფუნქციონირების დრო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ხელისუფლების არსებობის ყოველი დღე არის უკანონო არსებობის დღე, და აუცილებლად წარმოიშობა (ჩვენს შემთხვევაში, წარმოიშვა კიდეც) ხელისუფლების უზურპაციის თემა. ეს თემა და ეს პრობლემა ჩვენმა დროებითმა ხელისუფლებამ ფაქტობრივად მაშინ მოხსნა, როდესაც გამოაცხადა ახალი საპარლამენტო არჩევნების თარიღი. არჩევნების თარიღის ოფიციალურად გამოცხადება არა მარტო ზღვარს უდებს დროებითი ხელისუფლების მოქმედების პერიოდს, არამედ ამ პერიოდის განმავლობაში მისი კანონიერების არგუმენტი ხდება.

ამის შემდეგ, ამავე პერიოდისთვის, რჩება ჩვენი კომუნალური, კოლექტიური ცხოვრების საკითხი, რაც დროებითი ხელისუფლებისათვის ნდობის გამოცხადების პრობლემასაც გულისხმობს. პრობლემა მწვავეა და მას, სხვათაშორის, საქართველოს დემოკრატიულმა კავშირმა უკვე მიაქცია ყურადღება, როდესაც წამოაყენა წინადადება, არჩევნებამდე ჯერ ჩატარდეს რეფერენდუმი სახელმწიფო საბჭოსთვის ნდობის მანდატის მიცემის თაობაზე; როგორც მკითხველი ქვემოთ დაინახავს, მე ამ პრობლემის გადაწყვეტის არა ასეთნაირ, არამედ სხვა გზას ვხედავ.

ამ მიმართულებაზე ორიენტირებული ინიციატივა, უნდა ითქვას, ამგვარი შეიძლება იყოს: უნდა შეიქმნას **სამოქალაქო თანხმობის დეკლარაცია** (28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, პირველი სესიის წინა პერიოდში, გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე მე მოვუწოდე ახალ პარლამენტს ამგვარი დეკლარაციის შემუშავებისკენ და მის მიღებაში ყველას მონაწილეობის უზრუნველყოფისაკენ; სამწუხაროდ, მოწოდებას არავითარი — არც ნეგატიური, არც პოზიტიური — რეაქცია არ მოჰყოლია). დეკლარაცია გატანილ უნდა იქნას **აბსოლუტურად** ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საერთო შეკრებაზე (მონაწილეთა სპექტრი შეიძლება არც ამ ორგანიზაციებით იყოს შემოსაზღვრული), რომელზეც იგი კენჭისყრით, უმრავლესობით, იქნება მიღებული. შეიძლება ძირითადი ამ იდეაში ის არის, რომ, დღევანდელი პირობების სპეციფიკიდან გამომდინარე, დეკლარაციის პუნქტებს შორის აუცილებლად უნდა იყოს ისეთებიც, რომლებიც **ჩვენი (ადამიანთა, საზოგადოებათა თუ პარტიათა) ამჟამინდელი მოქმედებების რეგლამენტირებას მოახდენენ, და, დეკლარაციის მიღების შემთხვევაში, ყველასთვის აუცილებელნი იქნებიან შესასრულებლად, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში ადეკვატურ კვალიფიკაციას და სანქციებს გამოიწვევენ** (ასეთი რეგლამენტირება და მას დამორჩილება არჩევნებამდელ, მოკლევადიან, უკიდურესად დაძაბულ პერიოდში სრულიად მისაღებია და არაცივილიზებულად არ ჟღერს).

პოზიცია

მთავარი ის არის და ხაზგასმით ის უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დოკუმენტი და მისი მიღება მთლიანად **მიმართულია მომავალზე.** დღეს პარტიებმა გაიარეს წინასაარჩევნო რეგისტრაცია. ეს პარტიათა იურიდიული უფლებამოსილების განსაზღვრაა. მაგრამ პარტიებმა უნდა მოახდინონ იმის დეკლარირებაც, რომ ისინი ჩვენს მომავალ მოდუს ვივენდის ქმნიან და აღიარებენ, რომ მას პრინციპულად დაემორჩილებიან; ამ შემთხვევაში ის პარტიებიც, რომლებიც, არჩევნების შედეგების მიხედვით, ვერ შევლენ პარლამენტში, პოლიტიკური ცხოვრების თანაბარუფლებიანი მონაწილენი იქნებიან. ჩვენთვის დღეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტი. მაგრამ ამჟამად, დამოუკიდებლობის მდგომარეობაში, ჩვენ ჩვენი მომავალი ნორმალური თანაცხოვრების საფუძვლების ჩაყრა გვჭირდება — შინააშლილობა პირველ რიგში სახელმწიფოებრიობის ბაზას უქმნის საფრთხეს. დოკუმენტი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ხვალინდელი საქართველოს შენების საქმეს მოემსახურება და ხვალინდელ ლეგიტიმურ ხელისუფლებას შეუქმნის ცივილიზებული მოღვაწეობის გარანტიას. ის ძალები, რომლებიც არ შემოუერთდებიან ან უგულებელყოფენ ამგვარ დოკუმენტს, ჩვენში ახალი, ნორმალური წესრიგისკენ სიარულის მოწინააღმდეგეებად აღიქმებიან — მორალურად ისინი კანონგარეშე დაიყენებენ თავს. ხოლო მთლიანად საზოგადოებას, როგორც ამ შემთხვევაში ერთადერთ რევიზორს, სრული უფლება ექნება ადეკვატური რეაქცია მოახდინოს (პირველ რიგში — არჩევნების მეშვეობით).

საზოგადოებისათვის ამგვარი დეკლარაციის მიღება პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ იგი, ჯერ ერთი, ჩართულია პოლიტიკური ცხოვრების და ქვეყნის მართვის პროცესში; მეორეც, არჩევნებამდელ პერიოდში, იგი, ერთი მხრივ, ზღუდავს თავის მოქმედებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ამით ზღუდავს დროებითი ხელისუფლების წინაშე მდგარი გადასაწყვეტი ამოცანების სიას.

დასასრულ, მინდა გავიმეორო, რომ სწრაფვა ლეგიტიმურობისკენ ყოველთვის საჭიროა, ცხადია — გარდამავალ პერიოდშიც. ჩვენს დღევანდელ ვითარებაში თუ, ერთი მხრივ, დროებითი ხელისუფლება ვერ იქნება ბოლომდე ლეგიტიმური, მეორე მხრივ, საზოგადოებამ უნდა იზრუნოს კოლექტიურად ხვალინდელ ლეგიტიმურობაზე — ასეთი ზრუნვა ციკლური პროცესის გაგრძელების უზრუნველყოფაა (ეს საქართველოში ახალი წესრიგის საფუძვლების ჩაყრაც იქნება).

ინიციატივა, რომელზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, სახელმწიფო საბჭომ უნდა განახორციელოს. იგი ლეგიტიმაციისკენ მიმართული ინიციატივაც იქნება, ერთი ნაბიჯი. სხვანაირი ლეგიტიმაციის გზა არჩევნებამდე დარჩენილ დროში დღევანდელ ხელისუფლებას უკვე აღარა აქვს. ისევე როგორც — სხვანაირი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზა, რადგანაც მას სჭირდება ნდობის მანდატი და მოქმედების თავისუფლება იმ ამოცანების შეზღუდულ ჩარჩოებში, რომლებიც ისტორიის მიერ მისთვის არის გამოყოფილი.

მგზავრი და ტრანსპორტი

რესპუბლიკის პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საკონსულტაციო საბჭოს წევრების სამინისტროთა ხელმძღვანელებთან შეხვედრა-დიალოგები ტრადიციად მკვიდრდება. ერთი ასეთი შეხვედრა გაიმართა საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებთან. დასმულ კითხვებს პასუხი გასცეს მინისტრის მოადგილემ ჯემალ ჩხიკვაძემ და სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური და სამეცნიერო პროგრესის განყოფილების გამგემ ჯემალ ბელაშვილმა.

— სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველოს მოსახლეობის წინაშე ბევრი მწვავე სოციალური პრობლემა წამოიჭრა. ერთი მათგანია სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის გაუარესება. თქვენი აზრით, რა არის ამის ძირითადი მიზეზი?

— ამ დარგში მდგომარეობა მართლაც მკვეთრად გაუარესდა, განსაკუთრებით წლეულს. მიზეზი მრავალია, მაგრამ ისინი უნდა განვიხილოთ უპირველესად ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებთან მჭიდრო კავშირსა და ურთიერთქმედებაში. ფაქტია, ეროვნული მეურნეობის უკლებლივ ყველა დარგის მოშლა განაპირობა საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად ტრადიციული ეკონომიკური კავშირების დარღვევამ, ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ლიკვიდაციამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თანმხლებმა სირთულეებმა.

ვინ არ იცის, რომ ავტოტრანსპორტისა და მისი მარაგნაწილების მოწოდება სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნებიდან ხდებოდა. იგივე ითქმის საწვავ-საცხებ მასალებზე, რომელიც მთლიანად შემოგვაქვს. ასეთ ვითარებაში ფასების ლიბერალიზაციამ უდიდესი დარტყმა მიაყენა საქართველოს ტრანსპორტის ყველა დარგს და უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა ისინი.

— ხალხს აწუხებს არა მარტო არადამაკმაყოფილებელი მომსახურება, არამედ ულმერთოდ გაზრდილი მგზავრობის ღირებულება, ამან დიდ გასაჭირში ჩააგდო მოსახლეობა, განსაკუთრებით პენსიონერები, მრავალშვილიანი ოჯახები, სტუდენტები. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

— ეს მეტად მტკივნეული პრობლემაა, იგი ერთნაირად აწუხებს ყველას, მათ შორის ტრანსპორტის მუშაკებსაც, რომელთა რაოდენობა 130 ათას კაცს აღემატება. ისინი, თავიანთი ოჯახებით — დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი — ისეთივე მგზავრები არიან, როგორც სხვები და მათაც დააწვათ მხრებზე ეს სიმძიმე. ასე რომ, ტრანსპორტელთა სუბიექტური დაინტერესება ტარიფების ზრდით გამორიცხულია.

დღეს რაც ხდება სამგზავრო ტარიფების სფეროში, ძირითადად ობიექტური მიზეზებით არის განპირობებული. თუმცა, არც იმაზე შეიძლება თვალის მოხუჭვა, რომ დარგის მუშაკთა საქმიანობაში უამრავი ხარვეზი და გამოუყენებელი რეზერვია.

რაც შეეხება კონკრეტულ მიზეზებს, ეს პირველ ყოვლისა, მატერიალურ რესურსებზე ფასების არნახული გადიდებაა. იგი, ამჟამადაც მიმდინარეობს. მოძრავი შემადგენლობის ფასები ტრანსპორტის სხვადასხვა დარგში შარშანდელთან შედარებით 70-80-ჯერ და ზოგჯერ კი 100-ჯერ და მეტად გაიზარდა. მაგალითად, ავტობუსი, რომელიც ადრე 6-7 ათასი მანეთი ღირდა, ახლა 600-800 ათას მანეთად იყიდება, ზოგიერთი მარკისა კი — 1 მილიონზე მეტად. ასევეა ელექტროტრანსპორტი, ვაგონები, თვითმფრინავები და ა. შ. მკვეთრად გადიდდა ფასები ბენზინის — 20-25-ჯერ, დიზელის საწვავის კიდევ უფრო მეტად, ძრავის ზეთისა — 50-ჯერ, ზოგიერთი მექანიკური მარაგნაწილისა — 100-ჯერ, საბურავების — 30-ჯერ, ელექტრომოწყობილობის — 30-ჯერ და სხვა.

მძღოლების, მემანქანეების, სხვა პერსონალის შრომის ანაზღაურების გადიდებამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა გადაზიდვების თვითღირებულების ამაღლებაზე. თუმცა, საშუალო ხელფასი მაინც დაბალია.

სატრანსპორტო კომპლექსის დარგები ალტერნატივის წინაშე დადგნენ: ან უნდა გადიდებულიყო ტარიფები, რომ დაეფარათ გაზრდილი დანახარჯები, უზრუნველეყოთ საწარმოთა რენტაბელობა, ან შეენარჩუნებინათ ძველი და მიღებული ზარალის დასაფარავად მოეთხოვათ დოტაცია. მეორე გზა მოჭრილი აღმოჩნდა, სახელმწიფო ბიუჯეტი თვითონ არის დეფიციტური. ასე რომ, მგზავრობის ტარიფების გადიდება ურთულესი ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული ობიექტური აუცილებლობაა.

— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ვერაფერი ნუგეშია მოსახლეობისთვის, რომლის უდიდესი ნაწილი სიღატაკის ზღვარზე დაბლაა. რაში ხედავთ გამოსავალს?

— გამოსავალი ალბათ ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ. ამ ურთულესი სოციალური პრობლემის გადაჭრას ერთ რომელიმე დარგს ვერ დავაკისრებთ. მან რომ იარსებოს, თავისი შემოსავლით უნდა დაფაროს დანახარჯები და გარკვეული მოგებაც მიიღოს. საბაზრო ეკონომიკას ვამკვიდრებთ და დარგის ზარალის დაფარვის სახელმწიფო ბიუჯეტზე დაკისრება გაუმართლებელია.

შეხვედრა-დიალოგი

მეორე მხრივ, ფასებისა და მომსახურების ტარიფების ნებისმიერი ცვლილება არ შეიძლება ხორციელდებოდეს მოსახლეობის შემოსავლების დონის გაუთვალისწინებლად. ისინი უნდა დავაბალანსოთ შემოსავლების ინდექსაციის გზით. დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა.

— საქალაქთაშორისო ავტობუსებით მგზავრობის ღირებულების ასეთი გაზრდა ღირს თუ არა იმ ზარალად, რასაც მიიღებს რესპუბლიკა, ერთი მხრივ, ქალაქის სოფლისაგან მოწყვეტით, როცა ქალაქელები ვეღარ შეძლებენ მებაღეობის ნაკვეთების დამუშავებას, ბოლოს, მეორე მხრივ, იმით, რომ გაიზრდება სატრანსპორტო ხარჯებით ქალაქების ბაზრებში სოფლის პროდუქტების ფასები?

— ეს ნამდვილად მტკივნეული პრობლემაა, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მისი გადაჭრისათვის აუცილებელია ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების გადიდება. ამ მიმართულებით რესპუბლიკის მთავრობა გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს. მართალია მთლიანად არა, მაგრამ ზარალის კომპენსაცია გარკვეულწილად მაინც მოხდება.

— როგორ ფიქრობთ, საქალაქთაშორისო ტრანსპორტზე მგზავრობის ფასი რომ ორჯერ შეგვემცირებინა, შემოსავლები ხომ ამდენჯერვე გაიზრდებოდა? ამის შედეგად საწარმოც და მგზავრიც კმაყოფილი არ დარჩებოდა?

— მსგავს შეკითხვებს ხშირად სვამენ. რა თქმა უნდა, მგზავრთა ნაკადი ასეთ შემთხვევაში გაიზრდება, რასაც, მართლაც, მოყვებოდა რეისების რაოდენობისა და შემოსავლების მომატება. მაგრამ ასევე გაიზრდებოდა დანახარჯები და ზარალს თავს მაინც ვერ დავაღწევდით. ასე რომ, ერთდროულად რომ მგზავრიც კმაყოფილი იყოს და საწარმოც, ძნელად გადასაწყვეტი ამოცანაა.

— აწყდებით თუ არა რაიმე წინააღმდეგობას ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში დარგის პრობლემების გადაჭრისას?

— მინდა პირიქით ვთქვა. არსებული სიძნელეების მიუხედავად, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს, რათა მაქსიმალურად შეუმსუბუქოს დარგს ურთულესი პრობლემების გადაწყვეტა. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო ხანებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასეულ მილიონობით მანეთი გამოიყო, რომელიც მოხმარდა სამოქალაქო ავიაციის, რკინიგზის, მეტროპოლიტენის, საავტომობილო ტრანსპორტის საჭიროებას.

— დიდხანს გაგრძელდება ტრანსპორტზე ეს გასაჭირი, თუ არის წინსვლის რეალური შესაძლებლობები?

— უიმედოდ ღმერთმა ნუ გვამყოფოს. რა თქმა უნდა, სიძნელეები ტრანსპორტის სფეროში, ისევე როგორც მთლიანად დღევანდელ ცხოვრებაში, ვფიქრობთ, დროებითია. ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესში, რასაც მოყვება ეკონომიკის აღმავლობა, დარგში დაგროვილ პრობლემებს ნელ-ნელა გადავლახავთ. ამჟამად ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციებში გაწევრიანება, რისთვისაც იდგმება პრაქტიკული ნაბიჯები. პერსპექტიულად გვესახება ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქცია — ფაქტობრივად ახალი კომპლექსის მშენებლობა, რომლის ამოქმედება თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანს ტრანსპორტის საქმიანობას, დიდ წვლილს შეიტანს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში.

— არსებობს თუ არა მსოფლიოში სახელმწიფო, სადაც დოტაცია ეძლეოდეს ტრანსპორტს, რა მეთოდებია გამოყენებული ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობისათვის? შესაძლებელია თუ არა, საქალაქო ტრანსპორტზე მგზავრობის საფასურის გაუქმება?

—როგორც უკვე ითქვა, ტრანსპორტმა, როგორც მეურნეობის დარგმა, უნდა იარსებოს საკუთარი შემოსავლებით. ასეა ეს ყველა ქვეყანაში სატვირთო და არასაქალაქო სამგზავრო ავტოტრანსპორტზე.

რაც შეეხება საქალაქო მიწისზედა სამგზავრო ტრანსპორტის რენტაბელობას, პასუხი ცალსახაა. თითქმის არსად, ეს უკანასკნელი რენტაბელური არ არის, და, როგორც წესი, ხდება სატრანსპორტო ორგანიზაციების ხარჯების გადაფარვა. ასეა თბილისშიც. ამჟამად მოქმედი მგზავრობის საფასური — 50 კაპიკი 5-ჯერ ნაკლებია გადაყვანის ფაქტიურ ღირებულებაზე. სხვაობა იფარება ბიუჯეტიდან. საერთოდ, როგორიც არის სხვაობის გადაფარვის შესაძლებლობა, ისეთივეა მგზავრობის ტარიფი. თითქმის ყველა ქვეყანაში აღნიშნული ხარჯები იფარება მუნიციპალური ხაზინიდან. თუ ამ უკანასკნელს შეუძლია ხარჯების მთლიანად დაფარვა, მაშინ შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტზე მგზავრობის გადასახადის გაუქმებაც.

—შეიძლება თუ არა, სასოფლო-სამეურნეო სეზონის პერიოდში საგარეუბნო ტრანსპორტზე ერთთვიანი აბონემენტის დაწესება?

— რა თქმა უნდა შეიძლება, მაგრამ უნდა არსებობდეს მყარი ფასები, რაც დამოკიდებულია სტაბილურ ხარჯებზე. დღევანდელი ფასების ცვალებადობის პირობებში შეუძლებელი ხდება ერთთვიანი ბილეთების ღირებულების დადგენა, ფასების სტაბილიზაციის კვალობაზე, ვფიქრობთ, ეს პრობლემა გადაიჭრება.

საზრისი

გავიძარცვოთ, რათა შევიმოსოთ

რობერტ ძერია.

ეს წერილი თითქმის ერთი თვის წინათ დაიწერა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო გამოქვეყნება გაჭიანურდა...

გულწრფელად ვამბობ:

წელიწადნახევარზე მეტია კალამი ხელში არ ამიღია, სტრიქონი არსად დამიბეჭდავს.

არც არავის შიში მქონია, არც არავის მოვრიდებივარ. მქონდა ჩემი პოზიცია, სათქმელიც, მაგრამ ვირწმუნე, რომ პირში წყლის ჩაგუბება ჯობდა უგზოდ მიმავალი ქარავანისთვის უხანო ყეფას.

ახლა ერთმა ვითომ უბრალო შემთხვევამ ამაფორიაქა, საჯაროდ რამდენიმე სიტყვის სათქმელად განმაწყო.

იმედი მაქვს ერთი მკითხველი მაინც გამოჩნდება ისეთი, ვისაც ეს სტრიქონები დააფიქრებს, კონკრეტულ დასკვნებს გააკეთებინებს.

სხვანაირად არც ახლა ექნებოდა აზრი ამხელა საგაზეთო ფართობის დაკავებას...

საქართველოს ტელევიზიით სახელმწიფო საბჭოს გაფართოებულ სხდომას გადმოსცემდნენ. სადღაც გულის კუნჭულში იმედი აკიაფდა, თანდათან გაიზარდა, საგნობრივი და ხელშესახები გახდა. თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, აზრს სწორი სადინარი მიეცა, მაგრამ ერთი გამომსვლელის პოზიციამ ამაღელვა.

ალბათ, ბევრს ახსოვს ეს საღამო: ორატორთა უმრავლესობა დამნაშავეობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად მილიციის ძალების განმტკიცებას მოითხოვდა. იყო საუბარი კადრებზე, შეიარაღებაზე, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

საეჭვო და სადავო თითქოს არაფერი ჩანდა, მაგრამ უცებ ერთ-ერთი ყველასთვის საყვარელი ქალაქის თავკაცის გამოსვლამ ყველაფერს ლამის წყალი გადაასხა და სრული, ჭეშმარიტი დემოკრატიისთვის ჩვენი მზადყოფნა, საქმის სახელმწიფოებრივი პოზიციიდან გადაწყვეტის სურვილიც ეჭვქვეშ დააყენა.

ქალაქის თავკაცი-მეთქი წინასწარგანზრახულად ვამბობ. შეგნებულად არ ვახსენებ მის გვარსახელს, რადგანაც არავითარი სურვილი არა მაქვს 30-40 წლის შემდეგ გაოცებული და გაკვირვებული მისი შთამომავლობა ჩემი წყალობით ეცნობოდეს, ალბათ, ძალიან გულწრფელი, პატიოსანი კაცის მოუფიქრებელ დასკვნას, სურვილს.

საჭირო მას ნამდვილად არა უთქვამს რა. კერძოდ: ადმინისტრაციული ორგანოების გასაძლიერებელი სახსრები არ გაგვაჩნია, ამიტომ თავს ზედმეტის უფლებას ნუ მივცემთ და... განათლების, კულტურის განვითარებისათვის საჭირო სახსრების შემცირება მოითხოვა.

ამდენ ბიბლიოთეკებსაც ვერ შევინახავთო.

სულო ცოდვილო!

მეგონა, მომესმა. სხვებსაც შევეკითხე. იმათაც დამიდასტურეს. მერე მსგავსი გამონათქვამები სხვებისაც გამახსენდა და შევკრთი.

ღმერთმა გვაშოროს ჩვენი აფორიაქებული ცხოვრების მოწესრიგების ამგვარი გზა.

განათლებისა და კულტურის ხარჯზე სხვა სახელმწიფო რგოლის გაძლიერება, ჩემი აზრით, მეტი არაფერია, თუ არა ხვალინდელი დღის უარყოფა, ყოვლის მშთანთქავი ჭაობიდან ამოსვლაზე შეგნებულად უარის თქმა.

საქმე ის არის, რომ ასე გართულებული კრიმინოგენული ვითარების ერთ-ერთი მიზეზი მილიციის ცუდი შეიარაღება როდია. ამის საძირკველი, ალბათ, სულის სიღატაკეც არის.

დარწმუნებული ვარ:

მდიდარი სულის გონებანათელი კაცი ხელში იარაღს არ აიღებს, მეზობელს არ მიუვარდება წვითა და დაგვით შეძენილი ქონების წასართმევად. სასიკვდილოდ ვერც (დიახ, ვერც!) თანატოლს გაიმეტებს ტყავის ქურთუკის გულისთვის.

შეიძლება ახლა უადგილო იყოს, მაგრამ ერთი ფაქტი მაინც უნდა გავიხსენო იმისათვის, რომ რაღაცნაირად მაინც წარმოვაჩინო განათლებაზე ზრუნვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ქვეყანაში, სადაც პერსპექტივაზე სერიოზულად ფიქრობენ და დღევანდელი კვერცხი არ ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს.

50-იანი წლების დამლევს კოსმოსის კვლევაში იმდროინდელი საბჭოთა კავშირის მიღწევებმა, უფრო სწორად დედამიწის ირგვლივ სივრცეში რუსული თანამგზავრების გამოჩენამ, ცხადია, სერიოზულად შეაშფოთა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, შესაბამისი სამეცნიერო, სამრეწველო და სადაზვერვო ორგანოები.

ეს შემთხვევითი არ ყოფილა.

კოსმოსში გაჭრით იმპერია არამარტო არყევდა ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟს, არამედ სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა მის ეროვნულ უშიშროებას.

ამას ამერიკელები ყველაზე კარგად ხედავდნენ და ცხადადაც გრძნობდნენ, რომ აუცილებელი იყო სასწრაფო ღონისძიებების გატარება.

მალე გამოჩნდა კიდეც ჩამორჩენის დაძლევის რამდენიმე კარგად დამუშავებული ვარიანტი. ეს იყო კოსმოსის გამოსაკვლევად გამოყოფილი სახსრების გადიდება, სხვაგან მომუშავე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ამ უბანზე გადმოსროლა და ასე შემდეგ.

თითოეულ ამ ვარიანტს უდავოდ შეეძლო მოკლე დროში გარკვეული წარმატების მოპოვება; მაგრამ პრაგმატულმა ამერიკულმა აზროვნებამ სხვა გზა აირჩია. აი, ისეთი ბილიკი ამჯობინა, ჩვენში რომ იტყვიან, შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო.

კერძოდ, საგრძნობლად გაიზარდა საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება, რის საფუძველზეც დაიხვეწა ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის სისტემა და მომავალი მოღვაწეობისათვის მათი პრაქტიკული მომზადება.

შეიძლება ვინმემ თქვას ამერიკელებს ბევრი ფული აქვთ და არ დაენანებათო.

სწორიც იქნება.

აქვთ და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, მაგრამ ამ შემთხვევაში თანხები არ იყო მთავარი. ჭკუა აღმოაჩნდათ ფულზე მეტი.

დღეს უკვე ყველასთვის ნათელია საქმისადმი ამგვარი მიდგომის ნაყოფი.

შეერთებული შტატები კოსმოსში გაბატონდა.

უფრო მეტიც: თუ გულახდილები ვიქნებით, მოკლე დროში მოახერხა საერთოდ რუსეთის იმპერიის დაშლა. ყოველ შემთხვევაში ლომის წილი მაინც დაიდო.

ისიც უიარაღოდ, საზღვაო ქვეითი ჯარებისა და პოლიციის გაძლიერებული რაზმების დაუხმარებლად.

არ ვდავობ: შეიძლება სხვისი მაგალითი ეროვნული ხასიათისთვის მთლად მისაღები არ იყოს და ამ გამოცდილების პირდაპირმა გადმონერგვამ საშიში მეტასტაზები გაუჩინოს ჩვენს სხეულს.

ამიტომ ისევ ქართულ სინამდვილეს დავუბრუნდეთ.

ჩვენდა საბედნიეროდ ყოველი დროის ქართველი მამულიშვილი უპირველესად ახალგაზრდების განათლებაზე ფიქრობდა და მათი სულიერი ცხოვრების გამრავალფეროვნებაში ეძებდა ათასგვარი კატაკლიზმების შედეგად დაქცეული ქვეყნის აღდგენის, აღორძინების წამალს.

ახლა ჩვენ სწორედ ასეთი დრო გვიდგას.

ერის ეკონომიკური და სულიერი აღორძინება დღეს უნდა დაიწყოს; ხვალ შეიძლება გვიან იყოს.

აღორძინება კი სხვა არაფერია, თუ არა ცოდნისადმი, კულტურისადმი მასობრივი მისწრაფების გაღვიძება.

აღორძინება არის წიგნიერ, განათლებულ ადამიანებზე მასობრივი მოთხოვნა, მათი მრავლად არსებობის აუცილებლობა.

ეტყობა, ეს ჩვენმა წინაპრებმა ჩვენზე უკეთ იცოდნენ.

იღვწოდნენ კიდეც მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის...

დიდ ილიაზე არაფერს ვამბობთ. ისედაც ხშირად ვაწუხებთ მის წმინდა სახელს.

აკაკისაც გვერდს ვუვლით.

იაკობსაც.

ერთ ფაქტს მაინც გავიხსენებ.

კერძოდ:

სოფელ ლიშოში ოთხკლასიანი სასწავლებელი მოქმედებდა, სადაც ვინმე ვანო წიკლაური მასწავლებლობდა.

დღეს ზუსტად ვერავინ გეტყვით, თუ რა დონის პედაგოგი იყო ის სულგანათლებული, მაგრამ ცნობილია სხვა რამ. 1904-1905 წლებში ვაჟა-ფშაველა ხშირად ადიოდა სოფელში და მასწავლებელს პირდაპირ ეხვეწებოდა თურმე: ნუ დაიზარებ, ბავშვებს ნუ გასწირავ, უწიგნურად ნუ დატოვებ, თორემ ეს ჩამორჩენილი კუთხეა და წერა-კითხვის უცოდინარი ყმაწვილები შეიძლება ცუდ გზას დაადგნენ, ქვეყანას ვერაფერი არგონო.

განათლდეს მისი სული!

იცოდა, რასაც ამბობდა.

მისი პოეტური გენია ყველაზე კარგად გრძნობდა იმას, რომ ბნელი სული და გაუვარჯიშებელი გონება არის ყოველგვარი უკეთურობის საწყისი თუ სათავე.

გულწრფელად ვამბობ: ჭკუას არავის ვასწავლი, არც სადავოდ და სადავიდარაბოდ ვწერ ამ წერილს.

კონკრეტული მიზანი მაქვს — კიდევ ერთხელ შევახსენო განათლებაზე შემომწყრალთ ის, რომ ახალი საზოგადოების მშენებელ ადამიანებს, რომლებზედაც ასე ბევრს ვლაპარაკობთ, უნდა ჰქონდეთ არა მარტო თოფი და სხვა ყოველდღიური შრომითი საქმიანობისათვის საჭირო ინსტრუმენტები, სითამამე და სიმამაცე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ეთიკის, ზნეობის ფართო პარამეტრებს უნდა ფლობდნენ.

დღეს ჩვენს ყოფაში თავწამოყოფილი სიძნელეები, გაჭირვება და, თუ გნებავთ, დაღუპვის აშკარა საფრთხე უნდა გადალახოს არა მარტო ძლიერმა ტექნიკურმა არსენალმა, არამედ მდიდარმა სულმა, რადგან თავად სილამაზემ კი არა, სილამაზის შეგრძნებამ უნდა გადაარჩინოს კაცობრიობა.

ჩვენ ვითომ რა გამონაკლისები ვართ სინათლეზე, გონიერებაზე რომ უარი ვთქვათ, კუნთებისა და რკინის იმედად დავრჩეთ?

პირიქით: სულიერი ღირებულებებისადმი მოწიწებამ, სულიერმა გამონათებებმა უნდა შექმნან ისეთი ეთიკური, ზნეობრივი, მორალური განწყობილება, როცა თოფიანი კაცი მოსახვევში არ ჩაგისაფრდება, ძმა ძმას მოსაკლავად არ გაიწევს და საკუთარ თავზე შეყვარებული პოლიტიკოსისთვის მოძმეს არავინ გასწირავს, რადგან ეცოდინება, რომ თავის შესაწირი ამ ქვეყნად არის მხოლოდ ერთი — სამშობლო.

სხვა ყველაფერი დროებითი და წარმავალია...

ოპონენტებმა ზერელობა და ზოგადობა რომ არ დამწამონ, ბარემ აქვე ვიტყვი — შეგნებულად ავარიდე თავი ციფრებს.

ფინანსთა სამინისტროში ბიუჯეტი არ მიქექია.

არ მსურდა ადამიანების ასე გამძაფრებული პირისპირდგომის დროს უწყებათა დაპირისპირებისათვის შემეწყო ხელი ნებსით თუ უნებლიეთ.

ყველაფერი ისედაც ნათელია: როგორც ადრე, განათლება და კულტურა დღესაც სხვებზე გაცილებით ნაკლებს იღებენ.

მიზეზიც გასაგებია.

ნებისმიერ დარგში დღეს ჩადებული ერთი მანეთი ხვალ მეორე მანეთის მოგებას იძლევა.

განათლებისა და კულტურისათვის დახარჯული სახსრების ამონაგების დანახვა ძნელი, ზოგჯერ კი შეუძლებელიც არის შეუიარაღებელი თვალით.

არა და მოგება ისეთივეა, როგორიც ერთის შეფარდება ათთან.

თუმცა, სულო ცოდვილო, კალამი გამექცა.

შემინდოს უფალმა!

რა მოგებაზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც საუბარი ეხება ადამიანის სულის განწმენდას, ზოგიერთი გზასაცდენილის ადამიანად მოქცევას.

ამას სწორედ ის ბიბლიოთეკაც აკეთებს, სადაც აუწონავი სიმდიდრე ძევს და რომლის შესანახი ფული თურმე სხვას უნდა გადავცეთ დროებითი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო.

ჩვენს სულს ის სკოლა წმენდს, რომლის ფანჯრის ჩარჩოებში მინების ჩასმა გვეზარება და სადაც შეიძლება ერის ხვალინდელი წინამძღოლი უჯდეს უკვე მორყეულ მერხს.

მაპატიონ მწერლებმა, მხატვრებმა, მსახიობებმა...

არ მიხსენებია ისინი, არ დამივიწყებია. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ არ მაქვს და ვერც მივცემ ჩემს თავს მათზე საუბრის, მათი დაცვის უფლებას ხელოვნების საკითხების გადაწყვეტაში ჩემი არაკომპეტენტურობის გამო.

მხოლოდ ერთს ვიტყვი:

სოციალურად მათ სხვებზე მეტად უჭირთ.

და მაინც მშვენიერებით ამარცხებენ სიმახინჯეს.

ეს ლიტონი სიტყვები არ არის. ამიტომ მათთვის რაიმეს დაკლებას სჯობია ისევ ჩვენ განვიძარცვოთ, რათა ხვალ უკეთესად შევიმოსოთ, ცხადია, ღრმა განათლებისა და მაღალი კულტურის ხარჯზე.

ისევ ხარჯზე!

რას იზამ — ვინც სთესს, მოსავალსაც ის იმკის.

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი ლევან მართაშვილი.

ყველას თავისი აზრი აქვს

„ქრონიკული“ ოპოზიციონერი

ავთანდილ მარგიანი,
საქართველოს დემოკრატიული კავშირის თანათავმჯდომარე.

3 ივლისს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა ბატონ ნოდარ ნათაძის სტატია „საქართველოს დიქტატურის შავი აჩრდილი დასტრიალებს“. მას რომ გაეცნობი, უნებურად დიდი აკაკის სიტყვები გაგახსენდება: „შეიძლება კაცი გენიოსიც იყოს, მაგრამ რომელსამე საქმისათვის კი — გამოუსადეგარი“. დიახ, ბატონმა ნოდარმა, მიუხედავად თავისი დიდი ერუდიციისა, ვერა და ვერ გამოიმუშავა ჯანსაღი აზრი. სულ რაღაც და ვიღაც არ მოსწონს, სამომავლო პოლიტიკის „განჭვრეტის“ თვალსაზრისითაც არარსებულ საშიშროებებზე ლაპარაკობს, თითქოს მოსალოდნელი იყოს „თეთრებისა“ და „წითლების“ ბრძოლა. იმასაც კი გაიგებთ, ვითომ მავანთა და მავანთ საქართველოს მთელი ტერიტორიის წყლით დაფარვა ჰქონდეთ განზრახული. ისეთი დამაჯერებლობით მსჯელობს სამხედრო საქმეებზე, თითქოს მრავალგზის ომგადახდილი გენერალი გახლდეთ, რატომღაც ახლა ჩქარობს მოქალაქეობის მიღებას და არა მაშინ, როდესაც პრეზიდენტობისთვის იბრძოდა. და აი, ბოლო პერიოდის მისი კიდევ ერთი ახალი აღმოჩენა — საქართველოს თურმე დიქტატურის შავი აჩრდილი დასტრიალებს. ეს გასაგებია იმ შემთხვევაში, თუ ავტორს მხედველობაში ჰყავს გროზნოში — სასტუმრო „კავკასში“ მოკალათებული „რევანშისტები“, მაგრამ მათზე რატომღაც დუმს და სულ სხვა მხარეს იყურება, როგორც იტყვიან, შუადღისას მზეს ეძებს.

ბატონო ნოდარ! მე მახსოვს 1990 წლის აგვისტოში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე, თქვენ, როგორც დეპუტატს, შესანიშნავი პასუხი გაგცათ რესპუბლიკის პროკურორმა და თანაც გირჩიათ, ჭორებს ნაკლები დრო დაუთმეთო. მაგრამ, ეტყობა, ჭორები და დაუზუსტებელი ინფორმაციები თქვენი საქმიანობის ძირითადი ატრიბუტია. მოგეხსენებათ, ამ თემაზე პასუხისას ოპონენტები ადვილად კმაყოფილდებიან, იტყვიან, ალბათ, ვიღაცას შეეშალაო.

ბატონ ნოდარს არ მოსწონდა „კომუნისტური ხელისუფლება“ (რომლის წევრიც თვითონ გახლდათ), შემდგომ ეგრეთ წოდებული ეროვნული მთავრობაც (რომლის წევრიც ასევე იყო). ეს გასაგებია. მაგრამ მას არ მოსწონს დღევანდელი ხელისუფლებაც, რომლის ხელმძღვანელობის დროს მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნები საქართველოს თავიანთი ცივილიზებული საზოგადოების დიდ სახლში ეპატიჟებიან და იგონებს რაღაც არარსებულ საშიშროებას. ეს ყოვლად გაუმართლებელია. ამით, ბატონო ნოდარ, თქვენ თავგზას უბნევთ იმ მცირერიცხოვან, მაგრამ გულწრფელ და პატიოსან ადამიანებს, რომელთაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შეუძლიათ თქვენი მოსმენა.

თქვენ ბრძანებთ დიქტატურის საშიშროებაზე და დამაჯერებლობისთვის რამდენიმე „არგუმენტი“ მოგყავთ.

პირველი „არგუმენტი“ არის „ლოზუნგი“ და, შესაბამისად, მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება (ალბათ, „ზნეობის“ მექანიზმთა სათანადო გამოყენებით), რომ 11 ოქტომბერს პარლამენტის არჩევნები კი არ ჩატარდეს, არამედ რეფერენდუმი, რომელიც რწმუნებით აღჭურავს დღევანდელ ხელისუფლებას. ამ კამპანიას, თუ არ ვცდები, სათავეში უდგას პიროვნებათა ერთი ჯგუფი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პირველი მდივანი ხელმძღვანელობსო. ამ „არგუმენტის“ პასუხს გენიოსს დავესესხებით: „ვინც სხვის სიტყვებს გაიმეორებს დაბეჯითებითა და სარწმუნოდ, ის ან უიმედოა თავის საკუთარ ჭკუა-გონებაზე, ან განზრახ იმეორებს და ცუდი კაცია“ (აკაკი).

მართალი გითხრათ, ცუდ კაცობას ვერ დაგწამებთ, მაგრამ არც კაიკაცობა შემიძლია დაგაბრალოთ, ვინაიდან იმ თქვენი სტატიის გამოქვეყნებამდე, რომელშიც „დიქტატურის საშიშროებაზე“ ისაუბრებდით, ერთხელ მაინც უნდა დაკავშირებოდით იმ „ჯგუფს“ (როგორც თქვენ უწოდებთ), ან იმ „უკანასკნელ“ პირველ მდივანს, რომელიც ყოველთვის გაფასებდათ და პატივისცემით გეკიდებოდათ. (სხვათა შორის, შეიძლება თქვენ დარჩეთ ისტორიაში საქართველოს სახალხო ფრონტის პირველ და შეუცვლელ თავმჯდომარედ, მაგრამ თქვენი შემცვლელი რომ არც გამოჩნდეს, არასოდეს უკანასკნელ თავმჯდომარედ არ მოგიხსენიებთ), თქვენ „ჯგუფს“ უწოდებთ მრავალათასიან ორგანიზაციას და ასიათასობით მოქალაქეს, **რომლებიც პარლამენტის არჩევნების წინააღმდეგ კი არ გამოდიან, არამედ მისი ჩატარების გარანტიებს ემსახურებიან.** თქვენ უნდა გაცნობოდით „დიქტატურის“ მომხრეთა მიერ შედგენილ განცხადებას, სადაც შავით თეთრზე წერია შემდეგი:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

საქართველოში **მომავალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების გარანტიისთვის** დღევანდელ არასტაბილურ შიდაპოლიტიკურ ვითარებაში აუცილებლად მიგვაჩნია საყოველთაო-სახალხო **ნდობის** მინიჭება სახელმწიფო საბჭოსთვის, როგორც ძალაუფლების სტრუქტურისთვის, რომელიც გვევლინება რესპუბლიკაში ხელისუფლების ერთადერთ ორგანოდ.

ამ მიზნით მხარს ვუჭერთ საქართველოს დემოკრატიული კავშირის მიმართვას საქართველოში რეფერენდუმის ჩატარებაზე შემდეგი კითხვებით:

1. მხარს უჭერთ თუ არა იმას, რომ საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარებამდე ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქცია შეასრულოს სახელმწიფო საბჭომ?
2. მიგაჩნიათ თუ არა აუცილებლად სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის არჩევა?
3. აძლევთ თუ არა უფლებას სახელმწიფო საბჭოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის შესწორებათა საფუძველზე საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ დაამტკიცოს ახალი კონსტიტუცია?

პოლემიკა

სად ჩანს აქ არჩევნების ჩაშლის მცდელობა? იმას, რომ საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის მნიშვნელობა და მისი მოწყობის აუცილებლობა თქვენ არ გესმოდეთ, მართლაც ვერ დავიჯერებ, მაგრამ იმას კი დავიჯერებ, რომ ეს თქვენ ხელს არ გაძლევთ, რადგან ამჯერად თქვენზე არ იქნება ლაპარაკი, ისევე როგორც მაისში პრეზიდენტის არჩევნების დროს.

ბატონო ნოდარ! სხვათაშორის არც ის „არგუმენტია“ დამაჯერებელი, სადაც თითქოს „ოზმის“ მიხედვით „რეპრესიები“ მიმდინარეობს. ქვეყნად გამეფებული ანარქიისა და ქაოსის პირობებში ჩასაფრების მეთოდით კი არ უნდა იღვაწოთ, არამედ ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს უნდა მოჰკიდოთ ხელი (ოღონდ არა ისე, როგორც გულდამწვარი შავოსანი დედების საჩივრების შესწავლა მიიყვანეთ ბოლომდე) და ბოლომდე უნდა მიიყვანოთ იგი, თანაც იმ ხალხისათვის მისაღები შედეგებით, ვის ინტერესებსაც თქვენ უნდა ემსახურებოდეთ, და არა მაცდური დაპირებებით, თუმცა ამაში ძალზე მეპარება ეჭვი თქვენი ექსტრემისტული ხასიათის გამო. თქვენ და ყველა ის, ვინც ბოლო წლებში მრავალმხრივ ანგრევდით საქართველოს, ეტყობა დიდ იმედებს ამყარებთ პარლამენტის არჩევნებზე. რა თქმა უნდა, ახლა ხელსაყრელი მომენტი გაქვთ: ჯერ-ჯერობით მნგრეველებს კიდევ ჰყავთ მცირერიცხოვანი თანამზრახველები.

დღევანდელ ხელისუფალთ საქართველო დამშლილი, დანგრეული და დამწვარი დახვდა, რის გამოც უმოკლეს დროში დიდი ძვრები შეუძლებელია. ეს გარკვეულად იმოქმედებს ამომრჩეველთა გუნებაზეც. მოგეხსენებათ, ნგრევა და დაწვა თითქმის ყველას ხელეწიფება, ხოლო შენება ერთეულთა ხვედრია და, მგონი, ასეთი ერთეულები გამოზრდილი ჰყავს ქართველ ხალხს და კიდევაც მზად არის მიანდოს მათ თავისი ბედის მომავლის მშენებლობის საქმე. ასე რომ, ქრონიკული „ოპოზიციონერობა“ არც ისე მომგებიანი უნდა იყოს. რას ნიშნავს, რომ კონკრეტულად პასუხს არასოდეს არაფერზე აგებდით, თორემ ასეთი ხელგაშლილი ვერ იქნებოდით უსაფუძვლო იდეების გამოფრქვევაში.

ახლა, როდესაც მოძალადე ოპოზიციის 24 ივნისის სისხლიანი აქცია სამარცხვინოდ დამთავრდა (სამწუხაროდ ამ ავანტიურას კიდევ შეეწირა ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა) და იგი ძირითადად ლიკვიდირებულია, შეიძლება დავსვათ კითხვა, რა არის და რისთვის იბრძოდა „ოპოზიცია“ ამ ისედაც მოძალებული გარეშე თუ შინაური მტრების მოგერიების პირობებში?

რატომ ჰგავს ასე ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით ყველა ის სიტყვა და მოქმედება, რომელიც ამ უკანასკნელთა ხელწერაში გამოსჭვივის? და თქვენ, ბატონო ნოდარ, რატომ ასხამთ წყალს მათს წისქვილზე? ფიქრობთ, რომ ისინი საქართველოსთვის უფრო ბედნიერ ცხოვრებას „გამოაცხობენ?“ არა, თქვენ ასეთი ფიქრები არ უნდა გაწუხებდეთ, მაგრამ როგორც „მრავალტანჯულ“ და ვეტერან პოლიტიკოსს იმედი გაქვთ, რომ „თეთრების“ რჩეულად გიხილავენ და იმ ვიღაცას კი „წითლებისა“, მაგრამ გავიწყდებათ, რომ არც თეთრები არსებობენ და არც წითლები, როგორც იტყვიან, საქართველო პოლიტიკურად ძალზე ჭრელია და ხალხი ფერებით გამორჩევას მოერიდება, მოერიდება იმასაც, რომ მხოლოდ ფარატინა სიტყვებს მიენდოს, ხალხი საქმეებს მიენდობა. საქმეებით კი, თქვენდა სამწუხაროდ და ჩვენდა საბედნიეროდ, იმას ენდობა მთელი საქართველო და მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოება, ვის დემოკრატობაშიც, რატომღაც, ამ ბოლო დროს, ეჭვი შეგეპარათ. რა გაეწყობა, ბატონო ნოდარ, სამწუხაროა, მაგრამ თქვენ უკვე პოლიტიკაში იმ ბებერ ხარს ჰგავხართ, რომელსაც ხარი კი ჰქვია, მაგრამ უღელი მარტო ჭკელობაში დაუდგამს, როცა წვრთნიდნენ, შემდგომ კი, თავისი ხასიათის გამო, ცალუღელად დარჩენილა და, მოგეხსენებათ, თუ რა უმნიშვნელოა ასეთი შრომა. თქვენ, ბატონო ნოდარ, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას გისურვებთ როგორც ადამიანს, მაგრამ მომიტევეთ და, როგორც პოლიტიკოსს, გულწრფელად უნდა გირჩიოთ და გითხრათ: თქვენს თავზე წერეთ და უამრავ შეცდომასა და ნაკლოვანებას ნახავთ. ამით უფრო მეტ სიმპათიასაც მოიხვეჭთ ხალხში.

ჩვენი საერთო უბედურების წარმომშობი მიზეზების ნაცვლად ეძებთ უკვე თითქმის საუკუნის წინ მიცვალებულ დამნაშავეებს. თქვენ მაინც უნდა იცოდეთ, თუ როგორ ვითარდება პროცესები იმ ქვეყნებში, რომელთაც გადაიგდეს კოლონიური და დიქტატორული უღელი და თუ რა ნიშნებით ხასიათდება ეს პროცესები, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ეთნიკური რეგიონები არსებობს: ანარქია, ქაოსი, სეპარატიზმი, კრიმინოგენული დაძაბულობა, ეკონომიკური სიდუხჭირე და სხვა. აი ამ პრობლემებს უნდა მივხედოთ ყველამ და არა ცალკეული ჯგუფების წაქეზებით ვიყოთ დასაქმებული.

მთავარი საშიშროება დიქტატურის დაბრუნება კი არა (ეს არასოდეს მოხდება), ჩვენი საკუთარი ამბიციები, უნიათობა, უცოდინრობა და გამოუცდელობაა. სახელმწიფოს მშენებლობის ჩვევებს, მოვლენათა რეალური შეფასების უნარს პოლიტიკურ ბაქი-ბუქსა და მიტინგომანიის რახარუხში ვერ გამოიმუშავებ და ვერ, ისწავლი. ამ საქმეს მტკიცე ხასიათი და შრომა სჭირდება, თანაც პატიოსანი და თავდადებული შრომა, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ უკვე ვეღარ გაიწვრთნებით, ვინაიდან, როგორც იტყვიან, „არ გათეთრდების ყორანი“...

ბატონო ნოდარ! ვწუხვარ, რომ საჭირო გახდა მწარე სიმართლე მეთქვა თქვენთვის, მაგრამ დღეს ნამდვილად თქმა სჯობს უთქმელობას, იმის აღუნიშვნელობას, რომ საქართველოში არ არსებობს ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც არ სწყუროდეს მშვიდობა და დემოკრატია, რომლის უპირველესი გარანტი ჯერ რეფერენდუმი, ხოლო შემდეგ თავისუფალი და საყოველთაო არჩევნებია, რომელიც საბოლოო წერტილს დაუსვამს ცნობილი პოპულისტებისა და დემაგოგების მრავალწლიან დამღუპველ პარპაშს საქართველოში.

ბატონო ნოდარ, მინდა გჯეროდეთ, რომ გაღვიძებული საქართველო აღარ დაუბრუნდება არც გუშინწინდელი „წითლების“ დიქტატურას, არც გუშინდელი პრეზიდენტის ფაშისტურ ყოფას და, რა თქმა უნდა, უარს იტყვის დღევანდელი „ქრონიკული ოპოზიციონერის“ კლანურ მოძრაობაზეც.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მოწოდება სსრ კავშირის აღსადგენად

ლიპეცკი. ოთხშაბათს ლიპეცკის პარკის ესტრადიდან ოსტანკინოში პიკეტების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ვიქტორ ანპილოვმა მოუწოდა ქალაქელებს გამოაცხადონ თავიანთი რეგიონი სსრ კავშირის განთავისუფლებულ ტერიტორიად. დედაქალაქელი დეპუტატის სიტყვა განმსჭვალული იყო ბრძოლის პათოსით, „უწმინდურთაგან რუსეთის განთავისუფლებისათვის“ მოწოდებით. ანპილოვის კოლეგამ, ყოფილმა რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ალბერტ მაკაშოვმა უწმინდურები უწოდა ყველას, ვინც თავს ცხოვრების ახლანდელ ბატონ-პატრონად თვლის: დემოკრატებს, კოოპერატორებს, პოლიტიკოსებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სსრ კავშირის დაშლას.

მხარი დაუჭირეს სანქციებს

რომი. იტალიის პარლამენტის სენატმა მოიწონა მთავრობის გადაწყვეტილება შეუერთდეს საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სანქციებს სერბიისა და ჩერნოგორიის მიმართ.

მოქმედება სანქციებისა, რომლებიც იტალიის მინისტრთა საბჭომ გასულ თვეში შემოიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის გაერთიანების რეზოლუციათა შესაბამისად, ვრცელდება აგრეთვე იუგოსლავიის ორ ყოფილ რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების, სამეცნიერო და სპორტული გაცვლების სფეროებზე.

მხოლოდ თანხმობის მთავრობა

ვარშავა. პოლონეთის ახალი მთავრობა უნდა იყოს „თანხმობის მთავრობა, რომელმაც უარი უნდა თქვას წინააღმდეგობებზე, უთანხმოებებსა და ერთმანეთთან ომზე“, განაცხადა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა ჰანა სუხოცკაიამ. იგი შეხვდა ჟურნალისტებს პრეზიდენტ ლეხ ვალენსასთან პირველი ოფიციალური საუბრის შემდეგ, რომელიც დათანხმდა მის კანდიდატურას.



ჩვენს მკითხველებს!

გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ძვირფასო მკითხველო!

ამ ბოლო ხანს კატასტროფულად გაზრდილი სასტამბო-საგამომცემლო ხარჯები, სამწუხაროდ, გვაიძულებს, რომ შარშან ოც კაპიკობაზე გამოწერილი ჩვენი გაზეთი ხელმომწერებს 1 აგვისტოდან ველარ მოგაწოდოთ. ამიტომ დიდი ბოდიშის მოხდით და გულრწფელი თხოვნით მოგმართავთ, რომ სწორად გაგვიგოთ და ვისაც გსურთ 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე კვლავ მიიღოთ ჩვენი გაზეთი, 21 ივლისამდე გააფორმოთ ახალი ხელმოწერა.

წლის დამლევამდე ხელმოწერის ფასი 110 მანეთია. ხელმომწერებს გაზეთის ეგზემპლარი 1 მანეთი დაუჯდებათ, ჯიხურში კი ფასი 2 მანეთი იქნება. ხელმოწერით ჩვენი გაზეთი ყველაზე იაფი გამოდგება. თანადგომისათვის წინასწარ გიხდით მადლობას.

იჩქარეთ!

ჩვენი ინდექსია: 64424

ამ დღეებში

[illegible] „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტებისაგან

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

წყალტუბოს მომავალი

ქალაქის გამგეობის ინიციატივით მოეწყო წყალტუბოს გენერალური გეგმის განხილვა.

გეგმის განხილვაში მონაწილეობდნენ სპეციალისტები, ორგანიზაცია-დაწესებულებათა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. გამოითქვა ბევრი საინტერესო წინადადება, შენიშვნა, სურვილი. განხილვაზე, ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ პროექტის ავტორები — ბ. პოპიაშვილი, მ. ზაალიშვილი, ლ. შანიძე. სათანადოდ დამუშავების შემდეგ წყალტუბოს გენერალურ გეგმას დასამტკიცებლად მთავრობას წარუდგენენ.

დავით წერეთელი.

●

„ოდიში“ ისევ გამოვა

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ოდიში“ ისევ ჩადგა თავისი ხალხის სამსახურში. უკანასკნელი ნომრები ნათლად მიგვანიშნებს, თუ რა შეუძლია გაზეთს უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაში.

ზუგდიდის „აგრომრეწვბანკის“ სამმართველომ იკისრა თვეში ერთი ნომრის გამოშვების დაფინანსება, რომლის ღირებულება 8500 მანეთს შეადგენს. გაზეთ „ოდიშის“ რედაქტორმა ბატონმა აკაკი ჭანტურიამ გულწრფელი მადლობა გადაუხადა „აგრომრეწვბანკის“ ხელმძღვანელობას და აღნიშნა, რომ რაიონს ამ გზით შეუნარჩუნდა ადგილობრივი გაზეთი.

გია ერქვანია.

„კლასიკა“ შეუდგა მოღვაწეობას

მანანა კორძაია.

ეპოქის შესახებ სრულყოფილ წარმოდგენას შთამომავლობას მაინც ხელოვნება და ლიტერატურა უტოვებს.

ამიტომ ხელოვნება ყველა დროში განსაკუთრებული მზრუნველობის საგანი უნდა იყოს. დღეს საქართველოში უკიდურესი ძნელბედობის ჟამი დაგვიდგა. მხოლოდ იმედი თუ შემოგვრჩა, რომ ამ ნგრევას ოდესმე შენებაც შეიძლება მოყვეს. ბევრ საწუხართან ერთად დიდი გასაჭირი დაადგა ქართულ მუსიკას. მისი არსებობა თითოეული ჩვენთაგანის ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. ეს ზოგიერთების ნიჭზეა დამოკიდებული და დანარჩენების მხარდაჭერაზე. არავის აქვს უფლება მიივიწყოს სულიერი საწყისის მნიშვნელობა.

რეალობა კი გვიჩვენებს, რომ დღევანდელმა სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა ახალგაზრდობის (და ხშირად არა მარტო ახალგაზრდობის) ორიენტაცია დასავლეთისაკენ წარმართა. ისინი გაურბიან ხელოვნების მიმართ ჩვენში დასადგურებულ გულგრილობას და ცდილობენ დასავლეთში ეძიონ საკუთარი თავის გამოვლენის საშუალებები, რასაც გაცილებით ადვილად მიიჩნევენ. ქართველ ნიჭიერ ხელოვანთა „დაფანტვა“ დღეს დაუშვებელია. მაგრამ ეს „არდაშვება“ ვერ განხორციელდება ვერც ადმინისტრაციულ-აკრძალვითი მეთოდებით და ვერც მხოლოდ პატრიოტული შეგონებებით. ეს პროცესი მათზე ზრუნვამ უნდა შეაჩეროს, საქართველოსათვის მათი არსებობის აუცილებლობის აღიარებამ უნდა მოიტანოს. იგი ერთობლივად უნდა იტვირთოს შემსრულებელმა და მსმენელმა.

ამ საკითხს ეხმიანება ფირმა „ჯენიკოს“ მოღვაწეობა, რომლის პრეზიდენტი ჯანსუღ კახიძე გახლავთ. მან გაუძლო გარკვეულ შემოტევებს, ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი არ შეუწყვეტია საკონცერტო მოღვაწეობა და არა ერთი მუსიკალური ზეიმი მოუწყო თბილისელებს.

სულ ახლახან კი მოღვაწეობას შეუდგა მუსიკალურ-საკონცერტო საზოგადოება „კლასიკა“, რომელიც ბათუმში დაფუძნდა. მისი დამაარსებლები არიან აჭარის კულტურის სამინისტრო (მინისტრი ნოდარ ფაღავა, მოადგილე იოსებ ბარდანაშვილი), ცნობილი ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები მანანა დოიჯაშვილი (საზოგადოების პრეზიდენტი), ელისო ბოლქვაძე, საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი (კონსტანტინე ვარდელი, ნოდარ ჟვანია, ოთარ ჩუბინიშვილი, მამუკა ფარესიშვილი), მუსიკის მოყვარულნი ავთანდილ ნადირაშვილი, გიორგი გოთუა, ავთანდილ მიქაბერიძე, ფირმები „ამმა“ და „მთიანეთი“. საზოგადოების მუშაობაში აქტიურად არიან ჩართული საქართველოს სახალხო არტისტი ცისანა ტატიშვილი და პიანისტი ნანა დიმიტრიადი.

„კლასიკის“ მოღვაწეობის მიზანია დაუცველი და მოუვლელი მუსიკოსების მხარდაჭერა, მათი საკონცერტო ცხოვრების რეგულირება; იგი ცდილობს შემოქმედებითი ურთიერთობა დაამყაროს ყველა ქართველ მუსიკოსთან — აღიარებულ, ცნობილ შემსრულებლებთან და ნიჭიერ დამწყებ ახალგაზრდობასთან. იქმნება სპეციალური სტიპენდიების ფონდი მათ დასახმარებლად, რეკლამირების და აუდიო-ვიდეო ჩანაწერების პრობლემის მოსაგვარებლად.

„კლასიკის“ ბაზა ბათუმია; ამ საზოგადოების მესვეურები იმედოვნებენ, რომ მალე მთელ საქართველოს გასწვდებიან.

●

ტელეკომპანია „კოლხა“

ფოთი. ამ [illegible] საზღვაო ქალაქში ადგილობრივი მმართველობის ინიციატივით ახლახან ამოქმედდა ფოთის მუნიციპალური ტელეკომპანია „კოლხა“.

ტელეკომპანიის სპონსორია ჩაის კომბინატი, რომელმაც ახალბედა ორგანიზაცია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ფინანსურად უზრუნველყო.

ტელეკომპანიის საერთო სტრუქტურის ძირითადი რგოლია მისი ტელერედაქცია (მთავარი რედაქტორი — ჯუკური ესაკია). იგი სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელსაც „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონი ანიჭებს.

ამ დღეებში მოეწყო პირველი ტელეგადაცემები. იმედია, „კოლხა“ ხელს შეუწყობს მშობლიური ქალაქის წინსვლასა და განვითარებას, სადღეისო პრობლემების ოპერატიულ გაშუქებას.

ბეგლარ ჩხაიძე.

●

„მშვიდობით, იარაღო!“

საქართველოს ფოტოჟურნალისტთა ასოციაცია „ხხივის“ შემოქმედებით სახელოსნოში მოწყობილია საერთაშორისო ჰუმანიტარული აქციის „მშვიდობით, იარაღო!“-ს გამოფენა. ორგანიზატორია ამავე ასოციაციის პრეზიდენტი, რეჟისორი თამაზ ბიბილური.

გამოფენაზე წარმოდგენილია საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნიდან გამოგზავნილი 100-ზე მეტი ნამუშევარი, რომლებიც ჩვენი ერის ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებს ასახავს.

მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს აქ წარმოდგენილი ფოტოსურათები, საგაზეთო პუბლიკაციები, სლაიდები, ნახატები, ვიდეო და მაგნიტური ფირები, თვითნაკეთი და ხალხური რეწვის ნიმუშები და სხვა.

ნანა სულავა.

წერილი რედაქციას

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ მცირე წერილს.

დაბადების 80 წლის შესრულებასთან დაკავშირებით ამ დღეებში მივიღე მრავალრიცხოვანი მილოცვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებისაგან, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა ორგანოებისაგან, მათ შორის თქვენი გაზეთისაგან, ადგილობრივი და უცხოელი მეგობრებისაგან. მილოცვებსა და წერილებში გამოთქმულია კეთილი სურვილები. ყველა ორგანიზაციას, ორგანოსა და მეგობარს ამისათვის გულწრფელ მადლობას მოვახსენებ.

პატივისცემით

ალ. ღლონტი.

ეს ჩვენი საქართველოა!

თბილისში ცხელა.

გონდო დადვაძის ფოტო.

ქრიმინალური ქრონიკა

დააკავეს გამომძალველი

ჭიათურის ზონის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ოპერატიულ მორიგესთან მივიდა აღელვებული მოქალაქე გურამ ლომსაძე, რომელმაც განაცხადა, რომ მოსტაცეს ავტომანქანა და გამტაცებელმა მისი დაბრუნებისათვის 20000 მანეთი მოითხოვა.

განყოფილებაში მაშინვე შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი რომელსაც სათავეში ჩაუყენეს შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, პოლიციის კაპიტანი ბუდუ შეყილაძე. ჯგუფის წევრებმა: განყოფილების უფროსის მოადგილემ ვასილ წერეთელმა, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსმა ვასილ გაფრინდაშვილმა, სამძებროს მუშაკებმა დავით წერეთელმა, ნუგზარ გაბაძემ, ელგუჯა დვალმა, ზურაბ ლომიძემ, ავტოინსპექტორმა ფრიდონ სამყურაშვილმა შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინეს და მოკლე დროში დააკავეს დამნაშავე, ნასამართლევი, ამნისტიით გათავისუფლებული, საჩხერის რაიონის სოფელ სავანეში მცხოვრები ჯაბუ ტყავაძე. მისი სახლის ჩხრეკისას, როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოაჩინეს დანაშაულის დამამტკიცებელი სხვა საგნები. იპოვეს დამალული ავტომანქანა „მოსკვიჩი“, რომლის მფლობელის ვინაობის დასადგენადაც საქმეში ჩაებნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს მუშაკები: მაიორი მირზა გოლეთიანი, კაპიტანი ოთარ წიტაიშვილი და ახალგაზრდა ოპერმუშაკი ელგუჯა ორჯონიკიძე . მათ მიაკვლიეს ავტომანქანის მფლობელს, ქალაქ გარდაბანში მცხოვრებ იაღიშ ჰასანოვს. აღმოჩნდა, რომ მიმდინარე წლის 6 აპრილს ქალაქ რუსთავში მას თავს დაესხა შეიარაღებული ბოროტმოქმედი, რომელმაც იარაღის მუქარით წაართვა აღნიშნული ავტომანქანა. ჯაბუ ტყავაძემ დაკითხვისას უჩვენა, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული ავტომანქანებისა, 1991 წლის გაზაფხულზე ჭიათურის ზონის სოფელ წინასოფლიდან გაიტაცა ავტომანქანა, რომლის მფლობელსაც გამოსძალა 5000 მანეთი.

რუსუდან ჭიკაიძე.

ხალხური მედიცინა

„იადიგარ დაუდის“ ავტორის რაჭველი მემკვიდრე

დავით ბიწაძე

„თბილისი, საკაძის ქ. 46, გიორგი (იური ბურდილაძეს“. ამ მისამართით ყოველდღიურად მრავალი წერილი მოდის არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც. მათი ავტორები არიან ხალხური მკურნალის ყოფილი ან მომავალი პაციენტები. გიორგი ბურდილაძე მინდვრის ბალახებით მკურნალობს. მისი წამლები გამოცდილია სამკურნალო და სამეცნიერო დაწესებულებებში, მიღებული აქვს რამდენიმე საავტორო მოწმობა.

„რაჭველ ესკულაპეს“ (ასე მონათლა იგი ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა) მიღების საათებში ვესტუმრე. საკმაოდ გრძელი რიგი იდგა. ერთ-ერთი მომსვლელი რუსად შევიცანით, გავესაუბრე.— ნიჟნი ნოვგოროდიდან ვარ, „პრავდაში“ წავიკითხე ბურდილაძის სასწაულებზე. პიელონეფრიტით დავაავადდი (ხალხი მას თირკმელების ანთებას ეძახის), ჯანმრთელობა უაღრესად შემერყა. ყველა კლინიკიდან უიმედოდ გამომისტუმრეს, ოპერაციაზეც უარი მითხრეს, — შედეგი არ ექნებაო. მაშინ გადავწყვიტე, წავალ საქართველოში, ბედს ვცდი, იქნებ რამე გამოვიდეს-მეთქი. გამიმართლა, გიორგის წამლები რომ მივიღე, მყისვე შვება ვიგრძენი, მერე ავადმყოფობამ თანდათან უკან დაიხია, ტკივილები დამიყუჩდა, ბოლოს სულ მომეხსნა, შრომის უნარიც დამიბრუნდა. პროფილაქტიკის მიზნით ახლა ორ-სამ წელიწადში ერთხელ ვაკითხავ ჩემს მხსნელს, — თქვა ავტომშენებელი ქარხნის გაერთიანების ინჟინერმა ვალერი რუმიანცევმა.

თბილ სიტყვებს არც სხვა პაციენტები იშურებენ. ზუგდიდელმა ჟორჟი სხულუხიამ თქვა — თირკმელების შეტევით, ფეხზე ველარ ვდგებოდი. თითქმის საკაცით მოვაღწიე მკურნალამდე. მან გულდასმით გამსინჯა, ანალიზებსაც გაეცნო და დამამშვიდა, არა უშავს, გეშველებაო. დღეში სამჯერ ვიღებდი ბურდილაძის ნაყენს და, მალე გამოვკეთდი. ახლა საღ-სალამათი ვარ, მაგრამ მკურნალი მირჩევს, დროდადრო წამლები მაინც მიიღეო, და მეც ასე ვიქცევი.

გიორგი ბურდილაძის შესახებ წერილები უცხოეთის პრესაშიც გამოქვეყნდა. „ნიუ-იორკ ტაიმსში“ სტატიას, რომელშიც ქართველი ექიმის სასწაულებზეა ლაპარაკი, დართული აქვს მისი პორტრეტიც.

განათლებით ექიმი პედიატრია. შემდეგ კვალიფიკაცია აიმაღლა თერაპიასა და ნევროპათოლოგიაში. მრავალი წელი იმუშავა სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელად მშობლიურ ზემო რაჭაში, სამეგრელოსა და გურიაში, აგრეთვე მოსკოვის კურორტოლოგიის ინსტიტუტში პროფესორ ელისაბედ ვიგოდნევას ხელმძღვანელობით. იქვე დაამთავრა ასპირანტურა.

იგი მრავალ დაავადებას მკურნალობს. მათ შორის ნაღველკენჭოვანს, ნაღვლის ბუშტის ანთებას, თირკმელებს, სპაზმურ წნევას, ქრონიკულ ჰეპატიტს, ქრონიკულ კოლიტს, ოსტეოქონდროზს, ქრონიკულ გასტრიტს, ვეგეტონევროზს, უნებლიე შარდვას... მანვე შექმნა ნაყენი, რომელიც აწესრიგებს ნერვული სისტემის მოქმედებას, ამშვიდებს ავადმყოფს, ხსნის კლიმაქსის თანმდევ უსიამოვნო შეგრძნებებს. ამჟამად იური ბურდილაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის კათედრის გამგესთან, შალვა გახოკიძესთან ერთად ინტენსიურად მუშაობს შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო პრეპარატის შესაქმნელად. როგორც მკურნალი ბრძანებს, მალე ის პროსტატითა და ადენომით შეწუხებულ ადამიანებსაც დაეხმარება.

სამკურნალწამლო საშუალებებად, როგორც მოგახსენეთ, მინდვრის მცენარეებს იყენებს. იცის, სად რომელი ხარობს. განსაკუთრებით მდიდარია ამ მხრივ რაჭა. მამისონის უღელტეხილზე ასფურცელაა გავრცელებული, ულეწავა სორის ქედებში შემოდის, კოთხოჯი შაორდომეთის გზისპირებზეა, შქმერში, ფარახეთში, სევაში უკვდავა, კრაზანა, კულმუხო, კატაბალახა და სხვა სიმდიდრე ეგულება; მრავალძარღვა, ჯორისტერფა, ნაძბალახა საძებარი არ არის, ასკილიც, კუნელიც და მაყვალიც ყველგანაა, რიონის ქედებში ქაცვიც საკმაოდაა. რაჭაში უხვად ხარობს აგრეთვე ვალერიანა, კუროსთავი, მინდვრის ნემსა, ქუთქუთა...

სამკურნალო მცენარეების შეგროვება დედამ, ქალბატონმა მარგარიტა ჩიკვაიძემ და ბებიამ, ეკატერინე ჯაფარიძემ ასწავლეს. ბაბუის — ვიქტორ ჩიკვაიძის ოჯახში, რომელიც ზემო რაჭის სოფელ სამთისში ცხოვრობდა, არა მარტო წამლებს ამზადებდნენ, ქართული კარაბადინები თუ სხვა სამედიცინო ლიტერატურაც საკმაოდ ჰქონდათ, და სწორედ ამან გაიტაცა მომავალი ექიმი. მისი მისწრაფება კიდევ ერთმა გარემოებამ განაპირობა: ერთხანს მას თავად დაუავადდა თირკმლები, სად და ვისთან არ იმკურნალა: მაგრამ საშველი მაინც არ ჩანდა. აი, სწორედ მაშინ მოძებნა დედისეული სამკურნალო რეცეპტები, მოაგროვა სამკურნალო მცენარეები, თავად შეისწავლა კიდევ ბევრი ახალი მცენარის სიკეთე და შეაზავა ნაყენები. თვითონ რომ განიკურნა, უფრო გაბედულად შეუდგა სხვათა მკურნალობას და კიდეც მიაღწია კარგ შედეგს.

იური ბურდილაძე ადამიანთა ჯანმრთელობის სამსახურშიც არის და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა მოშენება-რეალიზაციის ლაბორატორიასაც ხელმძღვანელობს. ეს დიდად ეხმარება ახალ სამკურნალო მცენარეთა მოკვლევაში. ახლა სურს ხელი მოჰკიდოს გადაშენების გზაზე მდგარი სამკურნალო მცენარეების მოშენებას.

— ასეთი ბევრია, — თქვა მან, — ავიღოთ, თუნდაც, „ველის სურო“. ამერიკელები მას დღეს ვალუტით ყიდულობენ. ქართულ მედიცინაში ამ მცენარეს მეხუთე საუკუნიდან იყენებენ, იგი ჩვენში ყველგან შეიძლება გავაშენოთ. და კიდევ რამდენი ასეთი ძვირფასი მცენარეა! მათი გაშენებით სნეულსაც ვუწამლებთ და შემოსავლის წყაროც გაგვიჩნდება.

სამკურნალწამლო მცენარეთა შერჩევასა და გამოვლენაში ხალხურ მკურნალს აქტიურად ეხმარება დოცენტი შალვა ხიდაშელი, რომელიც მრავალი წელია ამ პრობლემაზე მუშაობს და საქართველოს ექსპერიმენტული ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივი, სადაც ცხოვრების საგზურს აძლევენ მის სამკურნალო პრეპარატებს.

იური ბურდილაძე უფასოდ მკურნალობს შეჭირვებულთ, სტიქიით დაზარალებულთ, საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში ჯანგატეხილ ადამიანებს, მათ ოჯახებს, სამაჩაბლოდან ლტოლვილთ. მან საკუთარი სახსრებით განაახლა და აღადგინა მშობლიური სოფლის ხირსონისის VI საუკუნის წმინდა გიორგის ეკლესია. ამის გარდა, თავისი დანაზოგი სხვადასხვა ფონდებშიც საკმაოდ გადარიცხა. გულმოწყალებისა და სიკეთის სავანეა მისი ოჯახი.

საქართველო სამკურნალო მცენარეებით მდიდარი ქვეყანაა. ერთ დროს აქ ხალხური მედიცინა ყვაოდა და იფურჩქნებოდა. მაგრამ როგორც ყველა სოციალისტურ რესპუბლიკაში, აქაც ათეულობით წლების მანძილზე ხალხურ მკურნალებს დევნიდნენ და ავიწროებდნენ, გამეჩხერდა ხალხურ მკურნალთა რიგი, გალარიბდა „მწვანე აფთიაქი“. მაგრამ იური ბურდილაძისნაირი ენთუზიასტების წყალობით ქართული ხალხური მედიცინა უთუოდ დაიბრუნებს დაკარგულ დიდებას.

• • •

სურათზე: ექიმი იური ბურდილაძე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

„გეორგიას“ გეგმები

იქმნება მზრუნველთა საბჭო

ბელა გომელაური, თბილისის უნივერსიტეტის „გეორგიას“ დოცენტი

თბილისის უნივერსიტეტი „გეორგია“ ერთ-ერთი იმ სასწავლებელთაგანია, რომელიც შემოქმედებითად იყენებს კერძო სკოლის ფენომენში გაცნობიერებულ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას — თავისუფლებას, და ცდილობს თავი დააღწიოს ჩვენი რიგი სახელმწიფო უმაღლესი სკოლების ცხოვრებაში ჯერ კიდევ მყარად გამჯდარ ყოველგვარ შტამპს, სტერეოტიპს, კონფორმიზმს, და იაროს სრულიად ახალი მიმართულებითა და პროგრესიული ინოვაციების დანერგვის გზით.

აღნიშნული უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მართებული ორიენტაციაა, მთელი სასწავლო პროცესის, კერძოდ სასწავლო გეგმების, სრულიად ახლებური და თანამედროვე სტანდარტებთან რამდენადმე მიახლოვებული გააზრება. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ (რექტორი — პროფ. ცეზარ ხარნაძე, პრორექტორი დოც. ალექსანდრე ბერაია) კარგად იცის, რომ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისთვის არ კმარა სტუდენტის მხოლოდ ვიწრო სპეციალური მომზადება, და არ იშურებს სახსრებს, რომ სტუდენტს პირველ ორ კურსზე მისცეს ფართო ზოგადი განათლება. საქმისადმი ამგვარი მიდგომის საფუძველში ძევს უნივერსიტეტის მისწრაფება რამდენადმე მაინც გამოასწოროს სტუდენტის მიერ სკოლიდან მოტანილი ცოდნისა და განათლების ხარვეზი, მინიმალურად მაინც აამაღლოს ამ უკანასკნელის ზოგადსაგანმანათლებლო თეორიული დონისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ხარისხი. ჩვენში, მოცემული საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არ არის შაბლონური. კერძო ეროვნული სკოლის კონცეფციის პრობლემაზე მუშაობის პროცესში გავეცანი კერძო უმაღლესი სასწავლებლების მრავალ სასწავლო გეგმას, რომლებშიც სრულიად საწინააღმდეგო ტენდენცია შეიმჩნევა.

აქვე, თუნდაც ძალზე სქემატურად, უნდა ითქვას ისიც, რომ უკვე მესამე კურსიდან სტუდენტებს საშუალება მიეცემათ სასწავლო საგნების გარკვეული ნაწილი აირჩიონ თავიანთი ინდივიდუალური შესაძლებლობების, პირადი მისწრაფებებისა და მომავალი გეგმების შესაბამისად, როგორც ეს ხდება განვითარებული ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში, ჩვენში კი — თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში.

გაიმართა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია. თუ წაიკითხავთ სტამბური წესით დაბეჭდილ ამ კონფერენციის მასალებს, თვითონ დარწმუნდებით, თუ რა დიდი სამეცნიერო პოტენციალი აქვს უნივერსიტეტს, როგორი აქტუალური, საინტერესო და მრავალფეროვანია აქ გამართული კონფერენციის პრობლემატიკა. ეს ღონისძიება იმითაც არის საგულისხმო, რომ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ სამეცნიერო კონფერენციას თანამედროვე ქართული კერძო უმაღლესი სკოლის ისტორიაში.

ასევე პირველად საქართველოში თბილისის უნივერსიტეტ „გეორგიასთან“ გადაწყვეტილია შეიქმნას უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანო — მზრუნველთა საბჭო. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა საბჭოს წევრებად იწვევს მრეწველობის, ფინანსური წრეების, ბიზნესის სფეროში წამყვანი მდგომარეობის მქონე ადამიანებს, მთავრობის წევრებს, თავიანთი სურვილის მიხედვით. განვითარებულ ქვეყნებში ანალოგიური საბჭოების წევრობა საპატიო მოვალეობად ითვლება, რადგან მისი თითოეული წევრის მიერ უნივერსიტეტის საჭიროებისთვის გაცემულ ფინანსურ დახმარებას საზოგადოება აღიქვამს, როგორც მოცემული ქვეყნის, რეგიონისა თუ ქალაქის განათლების საჭიროებისთვის გაღებულ მსხვერპლს, ამასთან, ამ შემთხვევაში, ქველმოქმედება არ არის მთავარი. საბჭოს თითოეული წევრისთვის მასში მონაწილეობა ნიშნავს უპირველეს ყოვლისა, საკუთარი საწარმოს, ფირმის თუ რაიმე სხვა საქმიანობის პერსპექტიულ განვითარებაზე ზრუნვას, ვინაიდან აღნიშნულ საბჭოს უფლება აქვს, საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენციის მოთხოვნების შესაბამისად, გააუქმოს ძველი და შექმნას ახალი სპეციალობები უნივერსიტეტში, არსებული სპეციალობების სასწავლო გეგმებიდან, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ამოიღოს ძველი და შეიტანოს ახალი საგნები, მიიღოს შეკვეთები წარმოებისთვის საჭირო საკვლევ თემატიკაზე, დაამყაროს მჭიდრო კავშირი წარმოებასთან, გამოიყენოს იგი ბაზად და ა. შ.

გარდა ამისა, მზრუნველთა საბჭო განსაზღვრავს როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ასევე მისაღებ კონტინგენტს, ადგენს უნივერსიტეტში მიღების წესებს, ამტკიცებს კათედრის გამგეების, დეკანების, მათი მოადგილეების კანდიდატურებს და ა. შ.

უნივერსიტეტის მზრუნველთა საბჭოს წევრად გახდომისათვის საჭიროა კერძო პირმა ან კოლექტიური შრომითი გაერთიანების წარმომადგენელმა, ყოველ სასწავლო წელს, უნივერსიტეტის სასწავლო-მატერიალური ბაზის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაფინანსებისა და სხვა საჭიროებისთვის გადარიცხოს გარკვეული თანხა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

მზრუნველთა საბჭოს სხდომები მოეწყობა კვარტალში ერთხელ. საბჭო აირჩევს პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს. ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დამტკიცდება საბჭოს სხდომაზე. ამ გადაწყვეტილებათა შესრულებას უხელმძღვანელებენ რექტორი და პრორექტორები.

რეკლამა ● განცხადება რეკლამა ● განცხადება

თბილისის ქართული. ხალხური მუსიკის საშუალო-სპეციალური სასწავლებელი

აცხადებს (პირველად) მიღებას 1992-1993 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:
1. ქართული ხალხური სიმღერები.
2. ქართული ხალხური საკრავები.

სასწავლებელში მიიღებიან სრული და არასრული საშუალო განათლების მქონე პირები, რომელთაც პარალელურად დაამთავრეს სამუსიკო შვიდწლედი.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება დირექტორის სახელზე, საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, სამუსიკო სკოლის დამთავრების მოწმობა, სამედიცინო ცნობა ფორმა № 086, 4 ფოტოსურათი.

სასწავლებელში სწავლა ფასიანია. აბიტურიენტები წლიურად გადაიხდიან 7000 მანეთს (ცვლილებები ინფლაციური პროცესების შესაბამისად). აღნიშნული თანხა უნდა გადაიხადონ აბიტურიენტის ჩარიცხვიდან 10 დღის შემდეგ. საორგანიზაციო ხარჯებისათვის აბიტურიენტმა საბუთებთან ერთად უნდა შემოიტანოს 200 მანეთი. (ორასი მანეთი).

საბუთები მიიღება ორ ეტაპად: 1 ეტაპი — 13 ივლისიდან 18 ივლისამდე. გასაუბრება — 20 ივლისს. II ეტაპი — 17 აგვისტოდან 22 აგვისტომდე, გასაუბრება — 24 აგვისტოს. საბუთები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12-დან 15 საათამდე.

მისამართი: ათონელის 27, 68-ე საშ. სკოლა (შესასვლელი ეზოდან), ტელ.: 98-42-76, 34-56-46.

საქართველოს განათლების სამინისტრო
რუსთავის ბიზნესის სამართლისა და უცხო ენების ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:
1. უცხო ენა (ინგლისური);
2. იურიდიული — სამართალმცოდნეობა;
3. ეკონომიკური — საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა — (ქართული და რუსული სექტორი).

ინსტიტუტში ჩარიცხვა მოხდება მისაღები გამოცდებით, რომელიც მოეწყობა:
1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ყველა სპეციალობაზე) — წერა რუსულ ენასა და ლიტერატურაში (რუსულ სექტორზე) — წერა
2. მათემატიკაში — სპეციალური ტესტებით (საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა)
3. საქართველოს ისტორია — ზეპირი (სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე)
4. ინგლისური ენა — ზეპირი (ინგლისური ენის სპეციალობაზე)

სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
— განცხადება რექტორის სახელზე;
— ატესტატი ან საშუალო-სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი);
— სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086-უ);
— ოთხი ფოტოსურათი (3X4);
— პასპორტს ან სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთების შემოტანასთან ერთად საგამოცდო მომსახურებისთვის აბიტურიენტი იხდის 200 მანეთს.

ინსტიტუტში საბუთები მიიღება მიმდინარე წლის 8 აგვისტომდე, ყოველდღე, 10 საათიდან 16 საათამდე.

გამოცდები გაიმართება 10-12 აგვისტოს, ჩარიცხვა — 14 აგვისტოს.

სწავლა დაიწყება 14 სექტემბერს.

ჩვენი მისამართია: ქ. რუსთავი, ბალანჩივაძის ქ. 8.

ტელეფონები: 12-50-97;
14-82-18;
14-36-94.

მეფუტკრეთა საყურადღებოდ!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში არსებული სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „პეპტიდი“ აწარმოებს ფუტკრის შხამის სერთიფიცირებასა და ფრაქციონირებას. ფირმის მიერ ჩატარებულ ანალიზზე ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული ფარმკომიტეტი გასცემს სახელმწიფო სერთიფიკატს, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის საზღვარგარეთ დაუბრკოლებლივ გატანას. ანალიზი შეიცავს 14 მუხლს, მათ შორის მელიტინის, აპამინის, ფოსფოლიპაზის პროცენტული შემადგენლობის, პროტეაზული აქტივობის, რადიაქტიურობის განსაზღვრას. ანალიზისთვის აიღება 1 გრამი ფუტკრის შხამი.

იმპორტული ხელსაწყოები და პრეპარატები, კვლევის უნიკალური მეთოდები და თანამშრომელთა მაღალი პროფესიული მომზადება უზრუნველყოფს ანალიზის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შესრულებას.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. № 6 (იპოდრომის პირდაპირ), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი, მე-2 სართული, ფირმა „პეპტიდი“; ტელ.: 39-13-74 (6-47), 39-10-76.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული „კომპიუტერული სკოლა“ 15 ივლისიდან ატარებს ორკვირიან კურსს, რომლის პროგრამაში გათვალისწინებულია IBM PC ტიპის პერსონალური კომპიუტერის შესწავლა მომხმარებლის დონეზე. ადგილების რაოდენობა შეზღუდულია.

ჩვენი მისამართია: უნივერსიტეტის ქ. № 11. ტელეფონი: 30-03-70.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი: [illegible], თბილისი, [illegible]
ტელეფონები: [illegible]

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

[illegible]

ინდექსი 64424

XI